# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ორშაბათი, 29 მაისი. 2023 წ. №61 (9593) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


26 მაისი, 2023

## ზურაბიშვილის ევროპული ზათქი!!!

...დღეს 26 მაისია, დამოუკიდებლობის დღე, თქვენი ფიცის დადების დღე. და თქვენ ამ ფიცით, საქართველოს ურყევ ერთგულებას და თავდადებას უცხადებთ. დღეს თქვენ საქართველოს ჯარს უერთდებით. ჯარს, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის საყრდენია. დღეს, თქვენი აქ დგომა იმის ნიშანია, რომ ჩვენს არც ერთ ბრძოლას თავისუფლებისთვის უკვალოდ არ ჩაუვლია. ჩვენი ჯარი ჩვენი სახელმწიფოს გამძლეობისა და მედეგობის უტყუარი ნიშანია. ამ ჯარმა ქვეყნის საზღვრებს მიღმა, სამშვიდობო მისიებში თავდადებისა და პროფესიონალიზმის მრავალი მაგალითი აჩვენა. 26 მაისი ის დღეა, როცა ქართულ ჯარს მადლიერებას ვუცხადებთ და ყველანი ერთად პატივს მივაგებთ საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის ყველა დროსა და ადგილას დაღუპულ გმირებს.

იხ. 2 გვ.

ამასაც მოვესწარით!

## ერთი ამოსუნთქვით!



უკრაინის გაჭიანურებულმა ომმა და პუტინ-მედვედევის ატომურმა მუქარამ ისე დააბნია მთელი მსოფლიო, რომ დღეს არავინ იცის, ვისი ვიოლინო ვის როიალშია...

ბაიდენი, სტოლტენბერგი, დამფრთხალი ევროპა და ჩვენი სუპერსტრატეგოსი ფრანგი სალომეა მთავარსარდალი ყოველივე ამას საქართველოს ხელისუფლების „ევროპის წინააღმდეგ სვლას“ და რუსეთ-საქართველოს შორის ფრენების აღდგენას აბრალებენ!

თუ ეს ასეა, ყოჩაღ, დავითის, ილიას, ზვიადის გზით მავალო საქართველოვ!

„გაუმარჯოს სიკვდილშიაც არ დანებებას“!..

რედაქტორი

ირაკლი ღარიბაშვილი:

## სამშობლოს თავისუფლება ეროვნულ სიამაყესთან ასოცირდება

...დღეს ჩვენი ქვეყნის მოქალაქენი, საქართველოში თუ მის საზღვრებს გარეთ, ჩვენს ნამდვილ მეგობრებთან, პარტნიორებთან ერთად, ჩვენი ისტორიის სრულიად განსაკუთრებულ, თითოეული ჩვენგანისთვის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას ვზეიმობთ – საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. 105 წელი შესრულდა იმ დღიდან, როდესაც საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლებამ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. უმთავრეს ეროვნულ დღეს ვულოცავ ყველას, ვისთვისაც დღევანდელი დღე და სამშობლოს თავისუფლება ეროვნულ სიამაყესთან, პირად ღირსებასთან და ბედნიერებასთან ასოცირდება.

იხ. 3 გვ.

## მშვიდობის გზით ჩვენ ქვეყანას გავაერთიანებთ!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვით გამოსვლის მთავარი ამონარიდები ქართული დიასპორის დღისადმი მიძღვნილ ფორუმზე**

მოგესალმებით, ძვირფასო დიასპორელებო, ჩვენო თანამემამულენო და შეგახსენებთ, რომ ჩვენი მთავარი მიზანი არის ჩვენი ქვეყნის გაერთიანება. ჩვენი ქვეყნის გაერთიანების გარეშე ჩვენი საქართველო ვერ იქნება ისეთი, როგორიც გვინდა რომ იყოს, როგორიც წარმოგვიდგენია, – ერთიანი, ძლიერი, განვითარებული, ევროპული ტიპის სახელმწიფო. რას აკეთებს ხელისუფლება ბოლო ამ 10 წლის განმავლობაში?!



იხ. 5 გვ.

ქალის თუ ბოხბოხის?!

## დროშისტარიდან – მიკროფონამდე

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა ერთ დროს მძლეთამძლე „დერჟავის“ დიდ სოფლად წოდებული დედაქალაქის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდა და ბედნიერი საბჭოთა ხალხი შემოკლებით მას „ვედენხას“ ეძახდა. სული და გული, რა სახის საკავშირო პროდუქციით არ ტკბებოდა მაშინ დამთვალიერებელი.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, ზესახელმწიფომაც მოგვჭამა ჭირი და დღეს უკვე სხვა ფასონის ექსპონატებით გვიწევს იმ ბარაქიან წლებში ჩამოყალიბებული გემოვნების დაკმაყოფილება.

დიახ, გვინდა თუ არა, იძულებულნი ვართ, შესაძლებლობათა ფარგლებში, ფეხი ავუწყოთ ევრო-ამერიკული დემოკრატიის პროგრესულ მოთხოვნებს, ფართოდ გავახილოთ თვალები და ასპარეზი „ენჯეოშნიკთა“ სულგაყიდულ კასტასა და მათ მიერ ნაყიდ-მოღორებულ, 30 ვერცხლს დახარბებულ წვრილფეხობას დავუთმოთ.

ხომ არ გგონიათ, მათთვის რაიმე წმინდა ფასეულობა ან დამაბრკოლებელი ფაქტორი არსებობს? ნურას უკაცრავად, როცა შეკვეთა წამოვა, მაშინვე სარფიანი წინადადების ავტორთა დაკრულზე იწყებენ ცეკვას და არად დაგიდევენ უმრავლესობის ნებას. მთავარია, პირნათელნი იყვნენ ზემდგომთა წინაშე, მათგან უკვე საკმაოდ დაცილებულ მოვლენათა ზედაპირზე იტივტივონ და საბაბის პოვნას რა უნდა?

აგერ, ბატონო – ცინცხალი მაგალითი: როგორ თუ, შარშანდელის მსგავსად, პარლამენტისწინა სივრცეში რატომ აღარ ფრიალებს ევროკავშირის დროშებიო და ერთპროცენტიანი „ლელოს“ აქტივისტები, სათანადო ინვენტარით შეიარაღებულნი, დედაუნივერსიტეტთან შეკრებილნი, რუსთაველისკენ დაიძრნენ. მერე რა, რომ იქ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო ღონისძიებები მიმდინარეობდა – ტაბელი ხომ გადააბრუნეს?

ის, რომ დემონსტრანტებს (გნებავთ – მანიფესტანტებს) თვით მამუკა ხაზარაძე მიუძღოდა დანიშნულების პუნქტამდე, არ გამკვირვებია – თუ სხვა არაფერი, ეს მევახშე-ბანკირი და, სხვათა შორის, სწორედ იმ დღეს – 26 მაისს 84 წლის წინათ დაბადებულ მერაბ კოსტავაზე საცემრად გაწეული ზონდერ-კომკავშირელი ხანდახან წამლად სასიკეთო საქმესაც აკეთებს, რასაც ამას წინათ ნორჩ წალენჯიხელ ფეხბურთელთა ტურინის სახელოვან იუვენტუსთან დაძმობილებაში შეტანილი სოლიდური პირადი წვლილი მოწმობს, მაგრამ განსაკუთრებით თვალსაამო გახლდათ კოლონაში უშველებელ დროშისტარზე ჩაფრენილ პარტიზან მებაღეთა ბუტაფორიული ქალი-ლიდერის – ნატა ფერაძის ხილვა. არა, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, ესენი ძალიან შორს ავლენ და წავლენ!

ახლა კი, უკვე სავსებით სერიოზულად, კიდევ ერთი მანდილოსნის საქმენი საგმირონიას შესახებ: ძნელი გამოსაცნობი, ვფიქრობ, არ უნდა იყოს და მიხვდით, ალბათ – ისე როგორ იქნებოდა, ბრიუსელში გამგზავრებამდე დასავლეთელ პარტნიორთა წინაშე ქულების ჩაწერაზე არ ეზრუნა ჯერაც უმაღლეს მთავარსარდალსა და ქვეყნის, ჰოი საოცრებავ, პრეზიდენტს – სალომე ზურაბიშვილს, რომელმაც საზეიმო ტრიბუნა მთავრობის ეროვნული პოზიციის სალანძღავად გამოიყენა და, ადვილი წარმოსადგენია, თუ ბელგიაში გაუშვეს (ისე, სადაა თქვენი თავმოყვარეობა, ქალბატონო სალომე, როცა საკონსტიტუციო ჩანაწერს იშველიებთ და სათანადო ნებართვის მისაღებად წყალობას თქვენგანვე შერისხულთაგან ითხოვთ?), ევროპარლამენტის მიკროფონიდან როგორ მარგალიტებს გადმოაფრქვევს.

სხვათა შორის, ზემოთნახსენებ მსვლელობაში მისი საფრანგეთში მცხოვრები ძმა – ოთარ ზურაბიშვილიც მონაწილეობდა, რომელმაც ქამელეონის მანტია მოირგო და ერთ დროს მგზნებარე ზვიადისტობა, ზოგ-ზოგიერთისა არ იყოს, ორთოდოქს მიშისტობაზე გაცვალა. რას ვიზამთ – მორალს ყველას ვერ მოვთხოვთ, ახლა კი მის სისხლსა და ხორცს დავუბრუნდეთ.

საფიქრებელი იყო, რომ დაუმსახურებელ კრიტიკას მის ადრესატთაგან საკადრისი პასუხი მოჰყვებოდა, მაგრამ, თუ პარლამენტარ ირაკლი ქადაგიშვილის მყისიერ ემოციურ რეპლიკას არ ჩავთვლით, ყველამ პატივი სცა, უპირველესად, საკუთარ პერსონასა თუ შეკრებილ საზოგადოებას და თავკერძა ოპონენტი ძაღლადაც კი არ ჩააგდო. არადა, პრემიერი და სახელმწიფოს მეთაური გვერდიგვერდ ისხდნენ.

მოკლედ, უმადურობის განსახიერებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ რადიკალური ოპოზიციის ბანაკის არა მარტო რიგითი წევრი, არამედ ხმალამოღებული რუპორიც ბრძანდება, ამიტომ სავსებით შესაძლებელია, ფონ კრამონ-კუბილიუსფოტიგასთან ჩახუტებულმა ისეთი დირექტივები მიიღოს, ძველ დაპირებას გადააბიჯოს (არა და არასოდესო!), სიტყვა გატეხოს და საქართველოში დაბრუნებულმა ნაციონალური რეჟიმის შემქმნელი და მედიამენეჯერი „პოლიტპატიმრები“ შეიწყალოს. ჰო, არც ლაზარეს „უკანონო“ მარტვილოგა დაგვავიწყდეს.

არ გასულა 24 საათი და დიასპორის დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე ქალბატონმა უმაღლესმა მთავარსარდალმა საბოლოოდ გაიბანძა თავი, როცა ბოღმით სავსე გამოსვლაში კიდევ ერთხელ წარმოაჩინა საკუთარი პერსონის გულნამცეცობა და საქვეყნოდ იუკადრისა – სახელმწიფოებრიობის აღდგენისადმი მიძღვნილ ზეიმზე თავდაცვის მინისტრი ჯერ რატომ მიესალმა მთავრობის მეთაურს და მე – მხოლოდ ამის შემდეგო. აღარაფერს ვამბობთ პროტოკოლის სამსახურის (დავით ზანთარაია) მიმართ გამოთქმულ პრეტენზიაზე და ისეთ აღმაშფოთებელ ტერმინზე, როგორიცაა რუსეთში მცხოვრები ნახევრად ქართველი ემიგრანტი. პრემიერმა ამჯერადაც ტაქტით იხელმძღვანელა და უკვე ახირებულ („გაკაპრიზებულ“) ოპონენტად ჩამოყალიბებულ დიაცს მოკრძალებით მიმართა – რამდენად სწორი იქნებოდა, თქვენთვის ნახევრად ფრანგი გვეწოდებინა მაშინ, როცა თქვენი ახლახან გამჟღავნებული მოთხოვნის საპასუხოდ არა თუ პარლამენტის დეპუტატად, არამედ საქართველოს პრეზიდენტად დაგნიშნეთო და იქვე ჩაასწორა – აგირჩიეთო...

გია პლატონიშვილი

# „მერმე შინაც აიშალნენ, დამ მოუდო

# მთავარსარდლის ევროპული ზათქი!!!



## სალომე ზურაბიშვილი:

## ჩვენი ხვალინდელი დღე ევროპაა

(პირველი გვერდიდან)

დღევანდელ დღეს არ შეიძლება არ ვახსენოთ 100 წლის წინ, 1923 წლის 21 მაისს, დილით დახვრეტილი, საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ, 15 მებრძოლი ვაჟკაცი გენერალ კოტე აფხაზის მეთაურობით. 100 წელი გავიდა, თუმცა საფლავი და საპატიო ყარაული ჯერ არ ღირსებიათ. ამიტომ გამოვედი ინიციატივით, რომ ასი წლის თავზე თითოეულ მათგანს მიენიჭოს ეროვნული გმირის წოდება. კოტე აფხაზის სიტყვები კი ჩვენს მეხსიერებაში ჩაიწერა და ეხმიანება ილიას, ვაჟას, აკაკის, ნიკოს და სხვების სულისკვეთებას: „ჩვენი პირი უნდა დასავლეთისკენ იყოს მიქცეული, ჩვენი პირი შავი ზღვისკენ უნდა იყოს მიქცეული". დღესაც, ეს გამოძახილი ჩვენი საზოგადოების სულისკვეთებას ესატყვისება.

ეს დღე თავისით არ მოსულა. იმისთვის, რომ 26 მაისი დამდგარიყო, ჩვენმა წინაპრებმა დამოუკიდებლობის მიზანს სიცოცხლე მიუძღვნეს, თავი გაწირეს და ძალა არ დაიშურეს. ქართველებმა ვიცოდით თავდაცვაც და თავდადებაც. ვიცოდით თავისუფლების და მშვიდობის ფასი. გვესმოდა, რომ ერთი მეორისგან განუყოფელია. ქართველები არცერთი ქვეყნის ჩრდილქვეშ ცხოვრებას არ ეგუებოდნენ და მიზნად არც რომელიმე ქვეყნის დაპყრობას თუ მტრობას არ ისახავდნენ. რუსეთის იმპერიის წნეხის ქვეშ, ტოტალური რუსიფიკაციისა და „ერთმორწმუნე ძმის" მიერ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების, ფრესკების განადგურების მიუხედავად, შევძელით და შევინარჩუნეთ ენაც და სარწმუნოებაც.

70-წლიანმა საბჭოთა ოკუპაციამ და 26 მაისის ხსენების აკრძალვამაც კი ვერ მოახერხა დამოუკიდებელი საქართველოს იდეის მოსპობა. ქართველში ვერასდროს ვერავინ ვერაფრით ჩაკლა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების წყურვილი. პირიქით, რაც მეტად გვებრძოდნენ, მით უფრო ძლიერდებოდა დამოუკიდებლობის ჟინი და საზოგადოების შემართება. დღემდე ამ ღირსებით, ამ პრინციპებით და ამ შეგნებით მოვედით.

26 მაისი სხვა არაფერია, თუ არა ამ სულისკვეთების განსახიერება. დღე, როცა უნდა ვამაყობდეთ წარსულით და ვამზადებდეთ ახალი თაობის უკეთეს მომავალს! დღე ზეიმის და ამაღლებული განცდების. ზეიმიც გვაქვს და ულამაზესი სანახაობაც. ამავე დროს ვისურვებდი, რომ ჩვენი საზოგადოება დღეს სულიერადაც ზეიმობდეს, დარწმუნებული იყოს, რომ ვისაც ამის პასუხისმგებლობა გააჩნია, ის მართლაც იცავს საკუთარ მოქალაქეებს, აძლიერებს ქვეყანას, აშენებს ხვალინდელი დღისთვის თავისუფალ, დემოკრატიულ და ღირსეულ საქართველოს და ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ ამ მიზანს მიაღწიოს.

დღეს 26 მაისია და ეროვნული სიამაყის დღე უნდა იყოს – შემართებისა და ღირსების დღე. იმედის გრძნობა თუ გაგვაჩნია, იმ ახალგაზრდებს უნდა ვუმადლოდეთ, ვინც თავისი წარმატებით, საკუთარი ნიჭით, შრომით და ჟინით შეძლეს და საქართველო ასახელეს კულტურაში, სპორტში, თუ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში. მჯერა, რომ ისინი ამ ქვეყანაში თავისუფალ აზროვნებასთან და ინიციატივებთან ერთად დანერგავენ ცოდნას, პროფესიონალიზმს და ქვეყნისთვის ახალ პერსპექტივებს შექმნიან.

იმედის გრძნობა კიდევ იმაში გამოიხატება, რომ დღეს ვუყურებთ, თუ როგორ იცავენ აფხაზები მიწას და ჩვენი ქვეყნის საკუთრებას. იმედი გვიჩნდება, მაშინ, როცა იქ მცხოვრები ქართველები ყოველგვარ შევიწროებას უმკლავდებიან და არ თმობენ არც ქართულ ენას და არც ქართველობას.

სიამაყის განცდა გვეუფლება, როცა ვუყურებთ ჩვენს მოსახლეობას, რომელიც საოკუპაციო ხაზთან ცხოვრობს და ურთულესი პირობების მიუხედავად, მტერს არ ნებდება, გატაცებებმა ვერ შეაშინა და ვერ გააძევა საკუთარი სახლიდან.

და ყველაზე მთავარი იმედი – ჩვენი საზოგადოება, რომელმაც მსოფლიოს ყველა საჭირო დროს აჩვენა თავისი ერთიანობა, პრინციპულობა, უკრაინის მიმართ სოლიდარობა, ტოლერანტობა და ევროპული არჩევანისა და მისი ღირებულებების ერთგულება. ამ საზოგადოების ძალა და შემართება ყველას მიერ გასათვალისწინებელია, რამეთუ ის ხვალინდელ დღეს წარმოადგენს. მაგრამ დღეს ამ საზოგადოებას გაუგებრობის და შეურაცხყოფის შერეული განცდაც დაეუფლა.

**ჩვენი ხალხისთვის გაუგებარი და შეურაცხმყოფელია, როცა ხელისუფლება საკუთარი მოქალაქეების პატივზე და ღირსებაზე არ ფიქრობს.**

**გაუგებარი და შეურაცხმყოფელია, როცა ჩვენს პოლიციას შეუძლებელ ამოცანას ვუსახავთ და გამოწვევის წინაშე ვაყენებთ. ყველას კარგად გვესმის, რომ ქვეყანა, რომელსაც ოკუპირებული ტერიტორიები გააჩნია და მის ტერიტორიაზე რუსის ჯარია, განსაკუთრებულად უნდა იცავდეს სტაბილურობას. სწორედ ამიტომ, ხელისუფლებას ევალება რომ არ დაუშვას ისეთი ვითარების წარმოქმნა, რომელსაც უთუოდ მოჰყვება ვნებათაღელვა და ესკალაცია. ხელისუფლებას ევალება პრევენცია და არა საკუთარი ხალხის მოთმინების გამოცდა.**

**ხელისუფლებას ევალება ტერიტორიის დაცვა და საზღვრის მართვა. უნდა იცოდე ვინ შემოდის და ვინ გადის ქვეყნიდან. ძნელი დასაჯერებელია, რომ ოკუპანტი ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური წრის წევრები, ქვეყანაში წინასწარი გაფრთხილებისა და უსაფრთხოების გარანტიების მიღების გარეშე შემოსულიყვნენ. მაშინ, როცა მუდმივად აპელირებენ მშვიდობაზე და სიფრთხილეზე, ნუთუ ამ დროს ხელისუფლებაში ვერავინ დაინახა ესკალაციის საფრთხე?! გავრილოვის მაგალითი მაინც არ გვქონდეს!**

**არ შეიძლება ოკუპაციის კანონის და პარტნიორების მიერ დაწესებული სანქციების გაუთვალისწინებლობა, რადგან ამან ერთი მხრივ შესაძლოა გამოიწვიოს ქვეყნის შიგნით პროტესტი და მეორე მხრივ უთანხმოება ჩვენს უახლოეს და სტრატეგიულ პარტნიორებთან.**

**ასევე გაუგებარი და შეურაცხმყოფელია, როცა შენივე ქვეყნის მმართველი ძალა ქსენოფობიას გაბრალებს. ჩვენს ისტორიას ასეთი ბრალდება არ ახსოვს. ბრალდება ქვეყნის მიმართ, რომელმაც საუკუნეების მანძილზე შემწყნარებლობით და სტუმართმოყვარეობით გაითქვა სახელი. ეს ყოველივე არა მხოლოდ წარსულითაა დამტკიცებული, ქართველ და ებრაელთა 26 საუკუნოვანი თანაცხოვრებით, არამედ დღესაც, როცა ოკუპანტი ქვეყნიდან უსიტყვოდ მივიღეთ და ვაცხოვრებთ 80 000-მდე იმიგრანტს და მთელი ამ დროის განმავლობაში არც ერთი სერიოზული ინციდენტი არ ყოფილა. ეს ბრალდება ასევე სახიფათოა ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, რადგან ყველამ კარგად ვიცით და გვახსოვს, რომ რუსეთი მეზობლებზე თავდასხმებს რუსულენოვანი ხალხის დაცვით ამართლებს.**

**დამოუკიდებლობა, რომელსაც დღეს ვზეიმობთ, სახელმწიფოსგან საკუთარი მოქალაქეების დაცვასაც გულისხმობს. სახელმწიფოებრიობა ისაა, როცა ქვეყანა წესებით და კანონებით იმართება. ესაა სახელმწიფო მიდგომა, რომელიც ყველაზე უნდა ვრცელდებოდეს. ამიტომ გაუგებარია, რატომ არანაირი ზომა და სამართლიანი რეგულაციები არაა მიღებული რუსეთიდან მასიურად შემოსულებისთვის და მათი საქმიანობისთვის, განსაკუთრებით კი ისეთ სფეროებში როგორიცაა ჯანდაცვა და განათლება. ან თუნდაც უძრავი ქონების შეძენა და დაწესებული გადასახადების გადაუხდელობა.**

**ასევე გაუგებარი გახდა ჩვენი საგარეო პოლიტიკა, კონსტიტუციაში კი ევროპაა ჩაწერილი. ყოველდღიური განცხადებები და ქმედებები კი ევროპისგან გვაშორებს და იზოლაციისკენ მივყავართ. ისმის კითხვა: სად გაქრა სიტყვები, „ევროპა ჩვენი ცივილიზაციური არჩევანია"?**

**ჩვენ ვექიშპებით და ვლანძღავთ ჩვენს მეგობარ და პარტნიორ ქვეყნებს. ქვეყნებს, რომლებმაც 30 წლის მანძილზე დახმარების ხელი გამოგვიწოდეს, დაგვეხმარნენ სახელმწიფოს მშენებლობაში და ჩამოყალიბებაში. სამაგიეროდ კი მათ, ვინც ჩვენი ტერიტორიის ოკუპაციას ახდენს დღემდე, ვეგებებით და ვუფრთხილდებით.**

**ჩვენმა წინაპრებმა, დიპლომატია, დაბალანსებული პოლიტიკა და სიფრთხილეც კარგად იცოდნენ, თუმცა ეს ღირსებას და პრინციპულობას მოკლებული არასოდეს ყოფილა. არ არსებობს ხალხი, რომელსაც ომის არ ეშინია. ომის სისასტიკე ჩვენსავით, ცოტამ თუ იცის და ცოტას თუ ესმის, მაგრამ საკუთარ საზოგადოებაში შიშის გაღვივება (რაც ადვილია იმ ქვეყანაში, რომელსაც უამრავი შემოსევა და დაპყრობა ახსოვს) ან ამით მანიპულირება ვერ გახდება წარმატებული მართვის ფორმულა. ყველასთვის გასაგები, რომ იყოს, რასაც ვგულისხმობ გავიხსენოთ იმედზე გასული ომის მოდელირებული ქრონიკა.**

**გაუგებარი და შეურაცხმყოფელია, როცა დღეს ვითვლით, თუ რამდენ მილიონს მოგვიტანს „ფრენების საჩუქარი". ნუთუ ჩვენი ღირსება 200 თუ 300 მილიონად იყიდება?!**

**და ახლა ამ ტრიბუნიდან მინდა მივმართო გიორგი ანწუხელიძის და გიგა ოთხოზორიას ოჯახებს. მე, როგორც ამ ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი ბოდიშს გიხდით იმ შეურაცხყოფისთვის, რომელიც არა მხოლოდ თქვენი, არამედ მთელი ქვეყნის შეურაცხყოფაა!**

**გაუგებარია, როცა ევროპას და ამერიკას ყველაფერს აბრალებ, მეორე ფრონტის გახსნის მცდელობას, „ქართველობის წართმევას", გარყვნილებას და მაინც, საკუთარ შვილებს ევროპასა და ამერიკაში უშვებ. საქართველოში კი ახალ თაობას ევროპულ მომავალს უსპობ.**

**დღეს ის დღეა, როცა ამ ყველაფერზე უნდა დავფიქრდეთ, ვეძებოთ გამოსავალი და დავიბრუნოთ მომავლის იმედი.**

**სიძულვილის ენამ, დაპირისპირებამ ურთიერთგაგება და პატივისცემა შეცვალა. ეს სახელმწიფოს ასუსტებს. ვაჟას სხვა სიტყვებიც უნდა გვახსოვდეს: „ციხე როს შიგნიდან ტყდება, მაშინ იმარჯვებს მტერია". სწორედ ესაა ქართველობის დაკარგვის საფრთხე... ჩვენივე ხელით და ჩვენივე ნებით.**

**ჩვენი ისტორიის მქონე ერმა, როგორ უნდა დაიჯეროს, რომ რუსეთის პოლიტიკა შეიძლება ვინმეს კარგ ან ცუდ საქციელზე, ან რომელიმე კარგ თუ ცუდ განცხადებაზე იყოს დამოკიდებული, ყველაფერზე გარდა საკუთარი ინტერესისა? რა იყო უკრაინაზე დამოკიდებული, როცა რუსეთმა ომი დაიწყო? ვინც ფიქრობს, რომ რუსეთი ტერიტორიებს დაგვიბრუნებს ჩვენი დათმობების სანაცვლოდ, მას ჩვენი ისტორიიდან არაფერი უსწავლია. ან კიდევ როგორ დავიჯეროთ, რომ ოკუპანტი შეიძლება ჩვენი თანამემამულეების კეთილდღეობაზე ზრუნავდეს? ნუთუ გვავიწყდება ჩვენს მოქალაქეებს, აფხაზეთში, ცხინვალში, ვინ ავიწროებს და ვინ იტაცებს?**

**კარგად ვხედავთ დღეს ვინ ცდილობს უკრაინის ოკუპაციას და იმასაც ვხედავთ, რომ მსოფლიო იცვლება, რუსეთის უძლეველობის მითი დამსხვრეულია და ხვალინდელ გეოპოლიტიკურ სივრცეში აღარ უნდა არსებობდეს ოკუპირებული ტერიტორიები. დღეს 26 მაისია და ჩვენ უკრაინელ მეგობრებს მინდა ვუსურვო ქვეყნის გამარჯვება და გამთლიანება.**

ამ ახალი მსოფლიო წესრიგის მოლოდინში დღეს ჩვენი საზოგადოება, როგორც ხელისუფლება გზაგასაყარზეა. საზოგადოებამ თავისი სიტყვა თქვა და გამოხატა თავისი ნება - საქართველომ უნდა გააგრძელოს დამოუკიდებლობის გამყარების და გამთლიანების, ევროპული დემოკრატიის ჩამოყალიბების და ევროპულ ოჯახთან შეერთების გზა.

ნათელია, რომ საზოგადოება არ დათმობს საკუთარი შვილების მომავალს, არ დათმობს თავის ევროპულ არჩევანს. დემოკრატიის პირველი წესია, რომ უნდა შეასრულო ის, რისთვისაც ხალხმა აგირჩია.

ქართველ ხალხს, ყველა ხელისუფლება ამ პირობას აძლევდა. დღევანდელმა ხელისუფლებამაც ქართველ ხალხს ეს პირობა მისცა და მეტიც კონსტიტუციით გაამყარა ევროინტეგრაციის გზა. დღეს, როცა ქართველი ხალხი ისევ ამ გზაზეა და ითხოვს მისი ნების აღსრულებას, ხელისუფლება სადაა?

ხელისუფლებისთვის დრო აღარ ითმენს, რომ დაუბრუნდეს საკუთარ სიტყვას, გამოცხადებულ მიზანს და შეასრულოს ხალხისთვის მიცემული პირობა. ხელისუფლებამ ამ დარჩენილ დროში უნდა იფიქროს, იმაზე თუ რისი შესრულება შეუძლია, არა იმიტომ, რომ ვინმე გვკარნახობს, არამედ იმიტომ, რომ ეს ქვეყნის სამშვიდობოზე გაყვანის გზაა და ამას ალტერნატივა არ გააჩნია.

დღეს საზოგადოებისთვის სასოწარკვეთილების და უიმედობის დრო ნამდვილად არაა. ქართული საზოგადოება ეროვნული ინტერესების და ღირსების დასაცავად უკან არასოდეს იხევდა და ეს უახლოესმა ისტორიამაც გვაჩვენა.

ახლა მთავარია, ყველამ ერთად დავინახოთ და გავიაზროთ ეს გარდაუვალი ცვლილებები, ვირწმუნოთ საკუთარი თავის და არავის მივცეთ უფლება ჩვენი გზიდან გადაყვანის.

**31 მაისს, სწორედ ამ ევროპული მომავლისთვის ჩავალ ბრიუსელში. თქვენთან ერთად ბოლომდე ვიბრძოლებ, რათა დავიცვა ჩვენი ევროპული მომავალი. ევროპა გაიგებს ქართველი ხალხის ხმას, იმ ხალხის ხმას, რომელიც ერთგულია 26 მაისის სულისკვეთების და რომელიც განსხვავებული მოსაზრებების მიუხედავად ერთიანდება, ერთი იდეის ირგვლივ – ჩვენი დამოუკიდებლობის და იმის, რომ ჩვენი ხვალინდელი დღე ევროპაა.**

26 მაისი, 2023



## თამარ ჩიბურდანიძე: გიორგი ანწუხელიძეს და ოთხოზორიას ბოდიში იმაზე მოუხადეთ, რომ საქართველოს ერთიანობისთვის არ იბრძვით!

„ისტორიულად სამარცხვინო იყო პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლა. დღეს მთელი მსოფლიო გვიყურებს და სალომე ზურაბიშვილმა კიდევ ერთხელ ლაფი დაასხა თავზე საქართველოს, იმ სამხედროებს, რომლებიც სამშობლოს სიყვარულით გულანთებულნი მის წინ იდგნენ. მჯერა, ყველა სამხედროს ტკიოდა ის, რომ ასეთი მთავარსარდალი გვყავთ. უკვე მერამდენედ ეს პიროვნება ჩვენი ქვეყნის ღირსებას ლახავს.

## ირაკლი ღარიბაშვილი:

# სამშობლოს თავისუფლება ეროვნულ სიამაყესთან ასოცირდება



(პირველი გვერდიდან) განსაკუთრებული სითბოთი ვულოცავ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ჩვენს ძმებსა და დებს, ჩვენს აფხაზ და ოს თანამოქალაქეებს.

განსაკუთრებით გილოცავთ, ჩვენო საამაყო წვევამდელებო, ვინც ამ განსაკუთრებულ დღეს დადეთ სამშობლოს ერთგულების ფიცი;

ძვირფასო მეგობრებო, დღეს სიამაყით ვიხსენებთ ყველას, ვინც თაობიდან თაობას გადასცემდა თავისუფლების სიყვარულს; კიდევ ერთხელ ქედს ვიხრით მათი ნათელი ხსოვნის წინაშე, ვინც საკუთარი სიცოცხლე სამშობლოსთვის გაიღო მსხვერპლად.

1918 წლის 26 მაისს ქართველებმა მტკიცედ და ხმამაღლა, მთელი მსოფლიოს გასაგონად ვთქვით, რომ გვსურს კვლავ ,,დავდგეთ ერად სხვა ერთა შორის“.

პირველი დამოუკიდებლობა მართალია ხანმოკლე, მაგრამ ჩვენი შემდგომი განვითარებისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობის აღმოჩნდა.

ამ მცირე დროში ქართველმა ხალხმა და მისმა მთავრობამ დასავლურ ფასეულობებზე დაფუძნებული, დემოკრატიული, ევროპული სახელმწიფოს საფუძვლები შექმნა, რომლის სულისკვეთება და კონსტიტუციაც ევროპის დღევანდელი კრიტერიუმებითაც კი, უაღრესად პროგრესული იყო.

1991 წელს საბოლოოდ აღდგენილი ეროვნული დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობაც ამავე კონსტიტუციას, მის ღირებულებებს დაეფუძნა. ჩვენი ქვეყნის მთავარ გეზად ევროპული სახელმწიფოს შენება განისაზღვრა. ამით ჩვენს დროში განვაახლეთ სვლა ყველა თაობის უზენაესი მიზნისკენ – თითოეული მოქალაქის, მთლიანად ქართველი ხალხის, საქართველოს თავისუფლებისაკენ.

დამოუკიდებლობის მოპოვებით, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ თავისუფალი ქვეყნის შენება დავიწყეთ. თუმცა, გზა დამოუკიდებლობიდან – თავისუფლებამდე ჯერ კიდევ გასავლელია. დამოუკიდებლობა სხვისგან გათავისუფლებას ნიშნავს, თავისუფლება კი, როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე გვასწავლის, ნიშნავს, როცა ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის. ეს კი საკუთარი ეროვნული, უნიკალური, თვითმყოფადი გზის გაკვალვას გულისხმობს. თავისუფლება გულისხმობს სუვერენულ სახელმწიფოს, რომელიც მხოლოდ საკუთარი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე ახორციელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, გულისხმობს ისეთ სახელმწიფოს, სადაც გარანტირებულია თითოეული მოქალაქის პოლიტიკური და სოციალური უფლებები, გულისხმობს კანონის უზენაესობას, მარადიული ფასეულობებისა და ეროვნული ინტერესების დაცვას; თავისუფლება გულისხმობს ისეთ გარემოს, სადაც თითოეული ოჯახის სიძლიერე ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა და, ამავე დროს, სახელმწიფოს ძლიერების საფუძველია; თავისუფლება გულისხმობს საზოგადოებას, რომელიც ესწრაფვის არა მხოლოდ ტერიტორიულ, არამედ ღირებულებრივ და შინაარსობრივ ერთიანობას, სადაც ერთმანეთს ხვდება ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი.

**თავისუფლების იდეალი ისტორიის ყველა ეტაპზე იყო ჩვენი მრავალათასწლოვანი კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრების, ქართველთა ყოველდღიურობის უმთავრესი განმსაზღვრელი. ჩვენ უძველესი ქრისტიანული ქვეყანა ვართ, სადაც ღვთის სიტყვას თვით იესო ქრისტეს მოციქულები ქადაგებდნენ. საუკუნეებია ჩვენს განვითარებას სწორედ სახარებისეული ფასეულობები განაპირობებს, რომელთა შორის თავისუფლება უზენაესია. საქართველო გმირების ქვეყანაა. ჩვენ ვახტანგ გორგასლის ქვეყანა ვართ, ჩვენ დავით აღმაშენებლის ქვეყანა ვართ, ჩვენ თამარ მეფის ქვეყანა ვართ, ჩვენ ვართ მეფე ერეკლეს ქვეყანა, და სწორედ ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებული ფასი აქვს თავისუფლებას.**

**„სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი“ – მეფე ერეკლეს ეს სიტყვები დიდი აკაკის პოემიდან სახელმძღვანელო უნდა იყოს თითოეული ქართველისათვის და პირველ რიგში ხელისუფლებისთვის, ყველასთვის, ვისთვისაც თავისუფლება პირადი ღირსებისა და ეროვნული სიამაყის ფუნდამენტია. თავისუფლება ჩვენი დიდი წინაპრებისთვის მუდმივად ბრძოლით მოსაპოვებელი მიზანი იყო და არა თავისთავადი მოცემულობა. დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო პოლიტიკურად დამოუკიდებელი ქვეყანაა, ჩვენს თავისუფლებას და სუვერენიტეტს, სამწუხაროდ, ბევრი შიდა და გარე, ხილული თუ ფარული მტერი ჰყავს, შესაბამისად, ჩვენს თავისუფლებას და სუვერენიტეტს ჭირდება განმტკიცება, რომელიც მოითხოვს უდიდეს ძალისხმევას და ეს ჩვენი ვალდებულებაა.**

თავისუფლების უპირველესი მტერია ომი. დღეს ჩვენი მოძმე უკრაინელი ხალხი რუსეთის მიერ დაწყებულ სასტიკ ომში უზარმაზარ მსხვერპლს იღებს საკუთარი თავისუფლების დასაცავად. მე კიდევ ერთხელ გამოვხატავ უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მიმართ თანადგომას, ომის მალე დასრულებას, მშვიდობას, გამთლიანებას და თავისუფლებას ვუსურვებ.

დღეს, ძვირფასო მეგობრებო, როდესაც ისტორიაში ყველაზე მწვავედ დგას ბირთვული ომის საფრთხე, ჩვენი უმთავრესი პასუხისმგებლობა და ვალდებულება სწორედ მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება, ჩვენი ხალხის დაცვა და ჩვენი ქვეყნის გადარჩენაა. ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკის შედეგად, არაკეთილმოსურნეთა, შიდა თუ გარე მტრების არაერთი დესტრუქციული მცდელობის მიუხედავად, საქართველო, დიახაც, რჩება მშვიდობისა და სტაბილურობის ოაზისად რეგიონში, და რადგან კარგად ვიცით ომის ფასიც და მშვიდობის ფასიც, სანამ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხისთვის თუნდაც მცირე საფრთხე არსებობს, ჩვენ არ შევწყვეტთ ამ ვალდებულების შესრულებას.

სრულფასოვანი თავისუფლება ჩვენთვის, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის ერთიანობას გულისხმობს. დღეს თუ რაიმე ჩრდილი ადგას ჩვენი თავისუფლების ზეიმს, ეს არის ჩვენი ტერიტორიების დროებითი ოკუპაცია რუსეთის მიერ. მაგრამ მე ღრმად მწამს, რომ სწორედ ერთიანობა არის გზა ქართველთა, აფხაზთა, ოსთა და ამ მიწაზე მცხოვრები ყველა მოქალაქის თავისუფლებისკენ.

ჩვენი სურვილია, რომ საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესით და განვითარებით თანაბრად ისარგებლოს მისმა თითოეულმა მოქალაქემ, მათ შორის, ამჟამად რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებმა მოსახლეობამ. ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ, ძვირფასო მეგობრებო, რომ მშვიდობისა და ნდობის აღდგენის გზა არის ულტერნატივო. მე მჯერა ჩვენი საერთო მომავლის, მჯერა, რომ მხოლოდ მშვიდობიანი, ურთიერთგაგებასა და პატივისცემაზე დაფუძნებული ძალისხმევით, ჩვენ ერთად შევქმნით უკეთეს ხვალინდელ დღეს ჩვენი შვილებისათვის, აფხაზთა, ოსთა, ქართველთა მომავალი თაობებისათვის.

**თავისუფლების მტერია სიღარიბე და უმუშევრობა. ამიტომაც, ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდან ვმუშაობთ ეკონომიკური აღორძინებისა და სოციალური სამართლიანობისთვის. ამ გზაზე, არაერთი გლობალური გამოწვევის მიუხედავად, მნიშვნელოვან პროგრესს, თვალსაჩინო შედეგს მივაღწიეთ და მანამდე გავაგრძელებთ შრომას, სანამ ბოლომდე არ დავამარცხებთ სიღარიბესა და უმუშევრობას და სანამ უზრუნველყოფილი არ იქნება თითოეული მოქალაქის, თითოეული ოჯახის სიძლიერე და კეთილდღეობა.**

**თავისუფლების მტერია სიცრუე და დეზინფორმაცია. როგორც ჩვენი ბრძენი პატრიარქი ბრძანებს, ადამიანმა თავისუფლება შეიძლება დაკარგოს ცრუ თავისუფლების სახელით. თანამედროვე ეპოქაში, როდესაც ყალბი ინფორმაციის გავრცელება, ფსევდოფასეულობების პროპაგანდა მთელი კაცობრიობისათვის უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს და როდესაც ბოროტი ძალები ცდილობენ დაანგრიონ ტრადიციული ფასეულობები, ოჯახური ფასეულობები, ცდილობენ ფაქტები აღქმებით ჩაანაცვლონ, რეალობად გაასაღონ სიცრუე, თავისუფლების განმტკიცებისთვის ჩვენს ერთადერთ იარაღად კვლავ რჩება სიმართლე. შესაბამისად, მხოლოდ უზენაეს ფასეულობებზე, მშვიდობაზე, კეთილდღეობაზე და სიმართლეზე დაფუძნებული თავისუფალი, ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოს შენება უნდა გახდეს ჩვენი საერთო მიზანი და ეროვნული იდეა. ბოლო წლებში ჩვენი ხელისუფლების ეროვნული და გონივრული პოლიტიკით არაერთ ხელშესახებ წარმატებას მივაღწიეთ, რომლებიც ყოველდღე გვაახლოებს ამ დიდ მიზანთან. ჩვენ მიერ ასევე გატარებული მასშტაბური რეფორმები კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის, ეკონომიკური წინსვლისა და სოციალური სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების გაძლიერება სამართლიანად იმსახურებს მიუკერძოებელი, ობიექტური შემფასებლების აღიარებას მთელ მსოფლიოში.**

განსაკუთრებით შთამბეჭდავია ჩვენი წარმატებები ევროინტეგრაციის გზაზე. მე ვამაყობ, რომ ჩემი პრემიერ-მინისტრობის პერიოდში წილად მხვდა პატივი, ხელი მომეწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე. შედეგად, საქართველო დღეს სარგებლობს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობითა და უვიზო მიმოსვლით.

გასულ წელს ჩვენ ევროკავშირში გაწევრიანებისთვის განაცხადი გავაკეთეთ და ევროკავშირისგან მივიღეთ ევროპული პერსპექტივა, რაც ნამდვილად ისტორიული გადაწყვეტილება იყო. ეს ყველაფერი სწორედ ბოლო ათ წელიწადში ჩვენი ხელისუფლების მუშაობის შედეგია, ჩვენი მონაპოვარია. მაგრამ ჩვენ კვლავაც არ ვიშურებთ ძალისხმევას, რომ წლის ბოლოს ქვეყანამ მიიღოს კანდიდატის სტატუსი, რაც ევროკავშირში ინტეგრაციის ახალ ეტაპს დაუდებს სათავეს.

ათასწლეულების განმავლობაში, ისტორიის სცენაზე ჩნდებოდნენ ძლევამოსილი იმპერიები, რომელთაგან დღეისთვის მხოლოდ სახელები შემორჩა. იმპერიათა შორის ბრძოლების ეპიცენტრში მდებარე ჩვენი პატარა ქვეყანა, მაგრამ დაუმარცხებელი და გაუტეხელი ქართველი ერი, მცირერიცხოვანი, მაგრამ ამაყი და თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი საუკუნეების განმავლობაში ყოველდღიური შრომით, ცოდნისა და განვითარებისკენ მუდმივი სწრაფვით, საჭირო დროს – მოთმინებით, საჭირო დროს – თავდადებული ბრძოლით და რაც მთავარია, – უფლის რწმენითა და სამშობლოს სიყვარულით უწყვეტად ქმნიდა მსოფლიოს უძველესი ერების ისტორიათა შორის ერთ-ერთ საოცარ, ამაღელვებელ და საამაყო გმირულ ისტორიას.

ამ ისტორიის გაგრძელება, ჩვენს დიდ წინაპართა მემკვიდრეობის ჩვენი შვილებისთვის გადაცემა და ქართველთა მრავალი თაობის ოცნების ასრულებისკენ გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა დღევანდელ თაობებს გვაკისრია. 26 მაისს ყველაზე მძაფრად ვგრძნობთ, რომ ჩვენ, ყველანი, ჩვენი სამშობლოს ისტორიის გამგრძელებელნი, მისი აწმყოს, მისი ერთიანობისა და ძლიერების შემოქმედნი ვართ. ამ პროცესში თითოეული თქვენგანის, ამ მიწაზე მცხოვრები ყველა მოქალაქის როლი უნიკალური და შეუცვლელია.

**მე კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს ხალხს, ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს. კიდევ ერთხელ გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, მშვიდობას, კეთილდღეობას, გამარჯვებას და გაერთიანებას ვუსურვებ ჩვენს სამშობლოს.**

**ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!**

---

**პრეზიდენტმა ბოდიში მოუხადა ანწუხელიძის და ოთხოზორიას ოჯახებს იმისათვის, რაც საქართველოში ხდება. მე კი შევახსენებ მას, რომ გიორგი ანწუხელიძემ, შინდისის გმირებმა, გზირიშვილიმა და სხვებმაც საქართველოს ერთიანობისთვის გაწირეს თავი.**

**ამ გმირების ხსოვნისადმი პატივისცემა კი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაა. საქართველოს პრეზიდენტი კი არაფერს აკეთებს ჩვენი ქვეყნის ერთიანობისთვის. არც დღეს ყოფილა მის სიტყვაში მთავარი თემა საქართველოს გამთლიანება. როგორც ჩანს, ზურაბიშვილს ავიწყდება, რომ პრეზიდენტია და უპირველეს ყოვლისა, ამაზე უნდა ზრუნავდეს.**

**მრჩება განცდა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა დაივიწყა, ან დაავიწყებინეს ტერიტორიული მთლიანობის იდეა. აშკარაა, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ვიღაცისთვის თავის ტკივილია და სურთ, დაგვავიწყონ ან უარი გვათქმევინონ ამაზე. სწორედ ამას აკეთებს დღეს სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი.**

**სალომე ზურაბიშვილმა დღეს წითელი ხაზი გადაკვეთა ქართველ ხალხთან. თუკი მას ჰგონია, რომ რომელიმე ქართველი, გაყიდული სულების გარდა, აფხაზეთს და სამაჩაბლოს რამეზე გაცვლის, ძალიან ცდება. ამაზე მკაცრ პასუხს მიიღებს ხალხისგან“,** – წერს „ხალხის ძალის“ წევრი **თამარ ჩიბურდანიძე.**

იხ. 4 გვ.



# მოლოდინი არ გამართლდა, თვითმფრინავები თითქმის ცარიელია, კლასიკური თვალთმაქცობა კი გრძელდება!

## უკრაინა, მოლდოვა და დასავლეთის არაერთი ქვეყანა მილიარდობით ვაჭრობენ სანქცირებულ რუსეთთან!

**თამაზ გაიაშვილის თქმით, რუსეთ-საქართველოს შორის ფრენებზე მოლოდინი არ გამართლდა, თვითმფრინავები ნახევრად ცარიელია. თუმცა, ცნობილი ხდება, რომ ქართული ავიაკომპანია Georgian Airways რუსეთის მოქალაქეებისთვის ევროპის მიმართულებით, თბილისის გავლით, ტრანზიტულ ფრენებს განახორციელებს. თამაზ გაიაშვილმა რუსული RTVI-სთან საუბრისას აღნიშნა, რომ გეგმაში შედის ხუთი ევროპული ქალაქი: მილანი, პარიზი, ვენა, ლარნაკა და სალონიკი. რუსეთ-საქართველოს შორის ფრენები აღდგა, მაგრამ მოსახლეობა მაინც ლარსის გამშვები პუნქტით მოძრაობს, რადგან პირდაპირი ფრენები საკამოდ ძვირია. პირდაპირ ფრენებს Georgian Airways ახორციელებს.**

რუსეთის პრეზიდენტის 10 მაისის გადაწყვეტილება, საქართველოსთვის შესაძლოა ახალი სანქციის საფუძველი გახდეს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შემდეგ, ნატოს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია, საქართველო დემოკრატიულ ღირებულებებს, რისიც სწამთ, შეესაბამებოდეს და ელიან, რომ ნატოს არაწევრი მოკავშირეები დაიცავენ სანქციებს.

**„საქართველო ქცევის მოდელის ნაწილია, ვინაიდან, როგორც ვთქვი, 2014 წელს უკრაინაში დაიწყო ომი, მაგრამ მეზობლების წინააღმდეგ რუსეთის აგრესიული ქმედებები 2014 წელს არ დაწყებულა, როგორც მინიმუმ 2008 წელს დაიწყო საქართველოში შეჭრით. ნატო ბევრი წლის განმავლობაში საქართველოსთან მუშაობდა რეფორმების გატარების, პრაქტიკული პოლიტიკური თანამშრომლობის მხრივ და, რა თქმა უნდა, ომის შემდეგ ვნახეთ, რომ „შუაში“ მყოფი ქვეყნები მოწყვლადი არიან. ასე რომ, მადრიდის სამიტზე გადავწყვიტეთ, რომ გაგვეზარდა ის, რასაც ამ ქვეყნებისთვის ვაკეთებთ და საქართველო ერთ-ერთი უმთავრესი მაგალითია. მაგრამ, ასევე უნდა გვესმოდეს, რომ მნიშვნელოვანია საქართველო იმ დემოკრატიულ ღირებულებებს შეესაბამებოდეს, რომლებისაც ჩვენ ყველას გვწამს და, რა თქმა უნდა, ველით, რომ ნატოს არაწევრი მოკავშირეები დაიცავენ სანქციებს და რუსეთს უკრაინის წინააღმდეგ აგრესიული ომის დაფინანსებას და ორგანიზებას არ გაუადვილებენ“,** – განაცხადა **იენს სტოლტენბერგმა.**

კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის, **ხავიერ კოლომინას** განცხადებით, ფრენების განახლებაზე მოსკოვის ცალმხრივი გადაწყვეტილების შემდეგ ზოგიერთი რეაქციები, რომლებიც პარლამენტის ზოგიერთი წევრისგან, მთავრობის წევრისგან ნახეს, ნატოსთვის შემაშფოთებელია. კოლომინას თქმით, ხელისუფლებას გადასცა გზავნილი, რომლის თანახმად, პარტნიორებს ესმით, რომ აღნიშნული მოსკოვის ცალმხრივი გადაწყვეტილებაა, მაგრამ ახლა ყველა უკრაინას უნდა უჭერდეს მხარს. მისი თქმით, უკრაინის მხარდაჭერა პრიორიტეტია და პრიორიტეტი უნდა იყოს ყველა პარტნიორისთვის.

ალიანსის მხრიდან შეშფოთების მიზეზს ვერ ხედავს ვიცე-პრემიერი **თეა წულუკიანი**, რომლის განცხადებით, საქართველო იცავს სანქციებს, ატარებს რეფორმებს და ფიქრობს, რომ მეორე მხრიდან იქნება პოლიტიკური ნება, რომ საქართველო გაწევრიანდეს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში.

**„ეს რეფორმები ამ მომენტშიც გრძელდება და მომავალშიც გაგრძელდება, რადგან ჩვენ ძალიან შორიდან მოვდივართ, ტოტალიტარიზმის საბჭოური ხანიდან. გარდაქმნებისა და რეფორმების პროცესი უნდა იყოს განგრძობადი, რასაც ხელისუფლება, უკვე მერამდენე წელია, აკეთებს“,** – განაცხადა **თეა წულუკიანმა.**

უმრავლესობის წევრის **გივი მიქანაძის** განცხადებით, რადიკალურ ძალებს აქვთ ძალიან დიდი სურვილი, გამოიგონონ და ჩვენს პარტნიორებს მიაწოდონ მცდარი ინფორმაცია, თითქოსდა საქართველო შემჩნეულია რუსეთის მხრიდან სანქციების გვერდის ავლაში. მისი თქმით, ოპოზიცია, ასევე, ცდილობს, პარტნიორების მიერ ზოგად კონტექსტში გაკეთებული განცხადებები საქართველოზე გადმოიტანოს.

**„საქართველო იყო და არის სოლიდარული უკრაინის, უკრაინელი ხალხის მიმართ. ჩვენ ეს დავამტკიცეთ და ვამტკიცებთ ყოველდღიურად. რადიკალურ ძალებს აქვთ ძალიან დიდი სურვილი, გამოიგონონ და ჩვენს პარტნიორებს მიაწოდონ მცდარი ინფორმაცია, თითქოსდა შემჩნეულია საქართველო რუსეთის მხრიდან სანქციების გვერდის ავლაში, თუმცა დღემდე ერთი კონკრეტული ფაქტიც ვერ დადასტურდა ამის, რადგან ბუნებაში არ არსებობს და ვერც იარსებებს!..**

„გირჩის“ წევრი **იაგო ხვიჩია** თვლის, რომ ქვეყნის მოღალატეობა არ შეიფუთება, მოჩანს დროშების მიღმაც და დარწმუნებულია, რომ კურსის ცვლილება „ქართულ ოცნებას“ გადაიყოლებს. მისი თქმით, ვინც ქვეყანას დასავლურ კურსს აშორებს, ის ქვეყნის მოღალატეა და არა პატრიოტი.

**„ქოცების ვაჟკაცობის ამბავი იმდენად შორსაა გავარდნილი, ნატოს გენმდივნამდეც მიაღწია, რომ ისეთი საფრთხე არსებობს, რომ საქართველოდან შეიძლება რუსეთი მარაგდებოდეს საბრძოლო ინვენტარით. ის, რომ ჩვენზე ასეთი ეჭვი აქვთ, არის ძალიან გამოუსწორებელი ზიანი ახლა, ამ წუთას, ამ მოცემულობით, რადგან აქამდე ვითვლებოდით დასავლეთის ერთგულ მეკავშირეებად.**

**ახლა „ქართული ოცნება“ გამოდის და ცდილობს ქართული ხომალდი რუსეთისკენ მიატრიალოს. ეს ნებისმიერ შემთხვევაში „ქართულ ოცნებას“ კრახამდე მიიყვანს, მეგობრები, როგორც ეს მეგობრებს შეეფერებათ, აფრთხილებენ საქართველოს ხელისუფლებას. მე არ მგონია, რომ „ქართულ ოცნებას“ რამე უშველის, მაგრამ ჩემი აზრით, ეს სწორი გაფრთხილებაა ქართველი ხალხისთვის, რომ ჩვენ მივხედოთ ჩვენს თავს“!..**

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** თვლის, რომ სახეზე გვაქვს კლასიკური თვალთმაქცობა იმ დოზით, როგორიც ეს იყო თავის დროზე „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებულ კანონპროექტთან დაკავშირებით, როცა მას ძალიან უსინდისოდ დაარქვეს ე.წ. რუსული კანონპროექტი, როდესაც მსგავსი კანონპროექტის შემუშავება იგეგმება თავად ევროკავშირში. რაც შეეხება სანქცირებებზე მორიგ დამუნათებას, აბაშიძის განცხადებით, აქაც იგრძნობა ის, რომ თავად არ არიან ინფორმირებული და მიყვებიან საერთო საგარეო დამუნათების ორკესტრირებულ კურსს, რომ საქართველო როგორმე გამოიყვანონ სანქციების დამრღვევ ქვეყნად.

**„იმ დროს, როდესაც თავადაც იციან და ეს არაერთხელ ითქვა დასავლურ მედიაში, რომ უკრაინა, მოლდოვა და დასავლეთის არაერთი ქვეყანა მილიარდობით თანხებს ვაჭრობენ სანქცირებულ რუსეთთან. აი, აქ არის ზუსტად კლასიკური თვალთმაქცობა. უვიზო მიმოსვლაზე რომ იყო საუბარი, რომ ეს თითქოს დამაზიანებელია, რატომღაც „დაავიწყდათ“, რომ მოლდოვას, რომელიც არის დსთ-ს ქვეყანა, უვიზო მიმოსვლა აქვს რუსეთთან და მათ შორის უკრაინას. მეტიც, შარშანდელი აგვისტოდან პუტინის ბრძანებით უკრაინის მოქალაქეებს შეუძლიათ განუსაზღვრელი ვადით დარჩნენ რუსეთში და იმუშაონ. ევროკავშირის ამ ორ კანდიდატ ქვეყანაზე მოლდოვასა და უკრაინაზე პრობლემები არ არის დასავლეთში და რატომღაც საქართველოზე აქვთ ე.წ. ახირება“,** – აცხადებს აბაშიძე.

მისი თქმით, ამით დასავლეთი პოლიტიკურ კარტბლანშს აძლევს რუსეთს, რომ მან კიდევ უფრო გააძლიეროს საკუთარი რბილი ძალა საქართველოში.

**„აი, ამას ემსახურება და ეს არის ძალიან დიდი უნამუსობა და სამარცხვინო. თუნდაც ერთი ბორტი რომ დაჯდეს, ან შემოფრინდეს საქართველოს საჰაერო სივრცეში, ამაზე დოკუმენტური პასუხი იქნება საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციისგან. თუ არ ენდობიან საქართველოს, ჩახედონ საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ბაზას, სადაც ვერ იპოვიან ასეთ ადგილს. ამიტომ ვამბობ, რომ ეს არის უნამუსო ფარისევლობა, თვლათმაქცობა, როდესაც თავად ვაჭრობენ რუსეთთან გაცილებით დიდ კოლოსალურ თანხებში და ამუნათებენ საქართველოს, რომელიც იცავს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს“!..**

**თამთა ქარჩავა**

### ირაკლი კობახიძე:

## იმედი მაქვს, რომ ევროპარლამენტში პრეზიდენტის განცხადებები არ იქნება დამაზიანებელი!

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე იმედს გამოთქვამს, რომ 31 მაისს საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლა სახელმწიფო ინტერესებს არ დააზიანებს.



**„იმედი მაქვს, რომ პრეზიდენტის განცხადებები ამ შემთხვევაში არ იქნება დამაზიანებელი ჩვენი სახელმწიფო ინტერესებისთვის, მათ შორის, ევროინტეგრაციის მიმართულებით. სხვა კომენტარისგან თავს შევიკავებ. ვსაუბრობ შესაძლო განცხადებებზე, რომლებმაც, შესაძლოა, დააზიანოს სახელმწიფო ინტერესი, იმედია, ასეთი არ იქნება“,** – აღნიშნა კობახიძემ.

## საშინლად გაბრაზებული პრეზიდენტი

**ყველამ ვიცით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღნიშვნა, მომავლის მარადიულობის სიმბოლოა. ეს არის მუდმივი ბრძოლის ერთი, უმნიშვნელოვანესი დღე. ბევრჯერ დაკარგულის და თავიდან მოპოვებულის გახსენების დღე. ნებისმიერი ერისთვის დამოუკიდებლობის აღნიშვნა ყველაზე დიდი ზეიმია. ამ დღეს დიდი თუ პატარა გულთბილად იგონებს თავისუფლებისთვის თავდადებულ ადამიანებს და პატივს მიაგებს წინაპართა ხსოვნას.**

**ხელისუფლებამ მიმდინარე წლის 26 მაისის აღნიშვნა განსაკუთრებულად მოინდომა, თბილისთან ერთად, რეგიონებში დაიგეგმა ლამაზი, შინაარსობრივად მრავალმხრივი ღონისძიებები. ჩატარდა სამხედრო ფიცის დადების ცერემონიალი. ასობით სამხედრო მოსამსახურემ დაიფიცა, რომ ერთგულად ემსახუროს სამშობლოს და დაიცვას ის.**

**დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის მიძღვნილი ზეიმი განსაკუთრებულად მიმზიდველი იყო თბილისში. ეროვნული ენერგიის სურნელი აქ გამორჩეულად იგრძნობოდა. ქვეყნის მთავარსარდალს, საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს მიეცა საშუალება მოსახლეობისთვის ღირსეულად, თბილი სიტყვებითა და წინაპართა ღვაწლის პატივისცემის გამოხატვით მიელოცა დღესასწაული. სამწუხაროდ მოხდა პირიქით. ქვეყნის ხელისუფლებას „ძაძები“ ჩააცვა. მისი საქმიანობის საშინაო თუ საგარეო კურსი რუსეთისკენ ორიენტირებულად გამოაცხადა.**

**სტუმრების, ეკლესიის, საპარლამენტო დელეგაციათა და სამხედრო მოსამსახურეთა წინაშე მსოფლიოს გასაგონად იკადრა ის, რასაც რადიკალური ოპოზიციის არც ერთი წევრი ამ სიმწვავით, არ იკადრებდა. შეიძლება ადამიანი გაბრაზებული იყოს, გულში ბოღმა ედოს, მაგრამ საქვეყნოდ არ გამოიტანს ეჭვებზე და საკუთარ მცდარ მოსაზრებებზე დაფუძნებულ ვარაუდებს.**

**ცხადია, დიდი ხანია პრეზიდენტი „კბილებს ილესავს“ ეტყობა სურდა ისეთ დროს „ეკბინა“ ხელისუფლებისათვის, როცა ამას არ ელოდა და იარა სისხლიანი და ძნელად მოსაშუშებელი ყოფილიყო. ადგილი და დრო შურისძიებისთვის ნამდვილად ხელსაყრელი აღმოჩნდა. მსოფლოს გასაგონად ტალახი დაუზოგავად ესროლა ხელისუფლებას. ისეთი სიმძლავრითა და გამეტებით, რომ ხმა ევროპასა და ამერიკაში გაეგონათ.**

**აღსანიშნავია, რომ ფიცის დადების გრანდიოზულ ცერემონიალზე გაბრაზებულ პრეზიდენტს მთავრობის მეთაურმა ღარიბაშვილმა პასუხი არ დაუბრუნა. თავშეკავების თუ თმენის ვალდებულების გარდა ეს, გახლავთ ადამიანური, ღირსეული ქცევა. გნებავთ ჯენტლმენური. საქვეყნოდ ხაზი არ გაუსვა, რომ პრეზიდენტი წინასწარ განზრახვით, ქალურ მოკლე ჭკუობას ავლენდა.**

**ამის შემდგომ არ გაგვიკვირდეს, რომ საშინლად გაბრაზებულმა პრეზიდენტმა დამნაშავეები სააკაშვილი და გვარამია შეიწყალოს.**



**ბორის დაითაია,**
სამეგრელო

(პირველი გვერდიდან)

**ჩვენმა ხელისუფლებამ, ჩვენო ძვირფასო თანამოქალაქენო, გააკეთა მაქსიმუმი იმისთვის, რომ ქვეყანაში დღეს გვაქვს მშვიდობიანი პერიოდი. ეს არის უწყვეტი მშვიდობიანი პერიოდი, უწყვეტი სტაბილური პერიოდი, რომელიც სამწუხაროდ, საუბედუროდ, ჩვენ არ გვქონია მას შემდეგ, რაც აღვადგინეთ დამოუკიდებლობა, — გვქონდა სამოქალაქო ომები, გვქონდა ომი აფხაზეთში, ოსეთში, დროებით დავკარგეთ კონტროლი ჩვენს ძირძველ ისტორიულ ტერიტორიებზე და ბოლოს ისიც მოვახერხეთ, რომ მსოფლიოში ნომერ პირველ ბირთვულ სახელმწიფოსთან გვქონდა პირდაპირი ომი.**

ახლა რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის განვითარებას. მე ამაზე ვისაუბრებ მხოლოდ ციფრებით და ფაქტებით. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ბოლო ორი წელია იზრდება და ორნიშნა ეკონომიკური ზრდა





**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვით გამოსვლის მთავარი ამონარიდები ქართული დიასპორის დღისადმი მიძღვნილ ფორუმზე**

# მშვიდობის გზით ჩვენ ქვეყანას გავაერთიანებთ!

გვაქვს. შედეგად, წლის ბოლოს უკვე 80 მილიარდი ლარი იქნება ჩვენი ეკონომიკა, რაც არის დაახლოებით 25 მილიარდი დოლარი. ერთ სულ მოსახლეზე რომ გადავიანგარიშოთ, ეს არის 8 000 დოლარი. სულ რაღაც 2 წლის წინ ჩვენი ეკონომიკა იყო 50 მილიარდი ლარი, 2020 წელს. ანუ, 2-3 წელიწადში გამოდის თითქმის 30-მილიარდიანი ზრდა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ გავამყარეთ ეროვნული ვალუტაც, არის სტაბილური და ჩვენი ქვეყნის განვითარება მიმდინარეობს სწორი მიმართულებით. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ისტორიულ მაქსიმუმზე არის ჩვენი ქვეყნის რეზერვები. ყოველთვე ეროვნული ბანკი ყიდულობს, ალბათ, 200-300 მილიონ დოლარს, 5 მილიარდს გადააჭარბა ჩვენი ქვეყნის ეროვნულმა რეზერვებმა. ანუ, ქვეყანა მდიდრდება, ძლიერდება. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ამით სტაბილურობას ვუწყობთ ხელს, ვაძლიერებთ ჩვენს სახელმწიფოს, 220 000-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი შევქმენით ბოლო ორ წელიწადში, უმუშევრობა, სიღარიბე არის ისტორიულ მინიმუმზე.

**და რაც მთავარია, დღეს გვაქვს დემოკრატია, მეგობრებო. თუნდაც, ქალბატონი პრეზიდენტი გამოვიდა, ორი დღეა გვაკრიტიკებს მთელ ხელისუფლებას ასეთ მშვიდობიან პერიოდში. ესეც არის დემოკრატიის კიდევ ერთი ნათელი მაგალითი და დადასტურება. ჩვენ ქვეყანაში გვაქვს დემოკრატია. ჩვენს მოქალაქეებს აქვთ სრული თავისუფლება.**

ჩვენ გვაქვს გაწერილი გეგმა და, როცა მე დავბრუნდი პრემიერ-მინისტრად, მაშინ დავიწყეთ მუშაობა ამის თაობაზე, ამ დოკუმენტზე. ესაა ეროვნული მნიშვნელობის საერთო დოკუმენტი, ეს არის ქვეყნის განვითარების სტრატეგია, ხედვა – 2030, ანუ როგორ მიდის ჩვენი ქვეყანა 2030 წლამდე. ყველა მიმართულებით არის გაწერილი კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადადგას, განახორციელოს მთავრობამ და მთელმა გუნდმა. ამ შემთხვევაში მთავრობაზე მინდა ვისაუბრო, – ყველა სამინისტროს აქვს კონკრეტული გეგმა და ხედვა, რა უნდა გააკეთოს, და ჩვენ ამ გეგმას მივყვებით.

2030-ისთვის ქვეყანა იქნება კიდევ უფრო მეტად წარმატებული, ძლიერი, მდიდარი, უკვე სხვა ლიგაში, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, გადავა ქვეყანა. იგივე საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის და სხვათა შეფასებებით, ჩვენს ქვეყანაში მომდევნო 5 წლის განმავლობაში გვექნება ყველაზე მაღალი ზრდა მთელი ევროპის მასშტაბით. შედეგად, როგორც მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდის ექსპერტები ამბობენ, ძალიან მალე ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლები გადააჭარბებს 10 000 დოლარს. ეს შეიძლება მოხდეს 2-3 წელიწადში! ამიტომ, ვისაც ამ განვითარების, ამ წინსვლის, მშვიდობის, სტაბილურობის შეფერხება და შენელება უნდა, მე არ მოვერიდები ამის თქმას, ისაა ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის მტერი.

რაც შეეხება ჩვენს ევროპულ მომავალს, ამის თაობაზე და საგარეო პოლიტიკაზე მინდა რამდენიმე სიტყვით მოგმართოთ. თუ ვინმემ ბოლო 30 წელიწადში რაიმე გააკეთა, რომელიმე ხელისუფლებამ რაიმე გააკეთა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი წინაპრების ოცნების რეალობად ქცევის საქმეში, და მე ვგულისხმობ ჩვენი ქვეყნის ევროპულ ინტეგრაციას, ეს ვართ ჩვენ, ეს არის „ქართული ოცნება“, ეს არის ჩვენი ხელისუფლება!

თქვენ იცით ასოცირებული ტრიო, გსმენიათ ამის თაობაზე, – უკრაინა, მოლდოვა, მანამდე იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები, სადაც სხვა ქვეყნებიც შედიოდნენ და ბოლოს გამოეყო ეს ჯგუფი, სამი ქვეყანა, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა. გუშინაც, დღესაც, მჯერა, ხვალაც, საქართველო იყო მოწინავე და იქნება მოწინავე ადგილებზე ამ ასოცირებული ტრიოს ფარგლებში. ჩვენი ორი, სამი თავით წინ ვართ, ვიდრე არის მოლდოვა და უკრაინა. სხვათა შორის, მოლდოვა არის დსთ-ს წევრი ქვეყანა, დიდი ხანია აქვს უვიზო რეჟიმი რუსეთთან, არც ეკონომიკური სანქციები არ დაუწესებია რუსეთისთვის, და არავინ კრიტიკულ სიტყვას არ ეუბნება, და მე ეს მიხარია, მინდა ყველას წარმატება ვუსურვო, მოლდოვასაც, უკრაინასაც, მთელ ევროპას, მთელ მსოფლიოს და ა.შ.

**ᲐᲦᲐᲠ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲔᲡ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲓᲐᲩᲐᲒᲕᲠᲐ, ᲬᲐᲒᲔᲑᲐ, ᲓᲐᲞᲧᲠᲝᲑᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ, ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ, ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ.**

მახსოვს ძალიან კარგად, 2013 წლის თებერვალი იქნებოდა, როდესაც მე ვიყავი შინაგან საქმეთა მინისტრი და მაშინდელი ევროკომისარი ქალბატონი სესილია მალმსტრომი ჩამოვიდა, მან პირადად გადმომცა, შეხვედრა ჰქონდა ყოფილ პრემიერ-მინისტრთან ბატონ ბიძინა ივანიშვილთან, შემდეგ ჩემთან და ოფიციალურად გადმომცა ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, იმიტომ, რომ მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰქონდა ძირითადი თავი შესასრულებელი, ვალდებულების დაახლოებით 70% მოდიოდა სამინისტროზე. დავიწყეთ აქტიური მუშაობა, მე მხვდა პატივი წილად, რომ ხელი მომეწერა უკვე ერთ წელიწადში ასოცირების შეთანხმებაზე და ქვეყანა დაადგა რეალურად ევროპეიზაციის გზას, განვითარების გზას. შედეგად, ჩვენ მივიღეთ უვიზო რეჟიმი ევროპასთან. მახსოვს, 2015 წლის 17 დეკემბერი იქნებოდა, საბოლოოდ დაიხურა, ევროპამ გვითხრა, რომ თქვენ პირნათლად შეასრულეთ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა და ქვეყანა მიიღებს უვიზო რეჟიმს. დღეს ჩვენი მოქალაქეები მარტივად, ყოველგვარი ბარიერის გარეშე ღირსეულად გადაადგილდებიან ევროპაში.

დღეს რომ ჩვენი ქვეყნის ვაჭრობა ვითარდება, ევროპაში სავაჭრო ბრუნვა იზრდება, მილიარდს გადააჭარბა, ესეც, რა თქმა უნდა, არის ჩვენი ხელისუფლების დამსახურება. მინდა კიდევ უფრო მეტად გააქტიურდეს ჩვენი ბიზნესი, უფრო მეტად აითვისონ ევროპული ბაზარი. ვიცი, რომ რთულია, იქ ძალიან ბევრი ბარიერია, ძალიან ბევრი კრიტერიუმია, მოთხოვნებია, მაგრამ ამ მიმართულებით მივდივართ, ამას სჭირდება დრო, ბევრი მუშაობა და შარშან, გახსოვთ, რომ შევიტანეთ უკვე ოფიციალურად განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე და ქვეყანამ მიიღო, ასე ვთქვათ, ისტორიული აღიარება.

მანამდე ამაზე უბრალოდ ფიქრიც არ შეიძლებოდა. მე კარგად მახსოვს წინა მოლაპარაკებები 2014 წელს, როცა ვაწერდით ხელს ასოცირების ხელშეკრულებას. მაშინ ჩვენი დაჟინებული თხოვნა, მოთხოვნა იყო ევროპელი კოლეგების მიმართ, რომ იქნებ ჩაეწერათ რამენაირად საქართველო როგორც ევროპული სახელმწიფო. მახსოვს, მაშინ მათი პირდაპირი პოზიცია იყო ძალიან ხისტი, რომ ამას არ გავაკეთებთ და ჩაწერეს საქართველო, როგორც აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფო. ახლა ჩვენ ვმუშაობთ უკვე სიმბოლურ აღიარებაზე – ქვეყნისთვის სტატუსის მინიჭებაზე. მოდით, ვთქვათ, სად ვიყავით მანამდე და სად ვართ დღეს. სტატუსზე მუშაობა ჩვენ დაწყებული გქვონდა მანამდე და, რა თქმა უნდა, ამას აფასებენ, ზოგადად ქვეყნის მუშაობას, განხორციელებულ რეფორმებს და ა.შ. მანამ, სანამ მოლდოვას და უკრაინას მიანიჭებდნენ სტატუსს, ბუნებრივია, შეადარეს ქვეყნების მდგომარეობა რეფორმების კუთხით, მართლმსაჯულება, საჯარო სექტორის განვითარება, კანონის უზენაესობა და ა.შ., და ჩვენი ქვეყანა, არ მოვერიდები ამის გამეორებას ყოველთვის, ეს უნდა ვთქვათ, მაშინაც და დღესაც, წინ იყო უკრაინაზეც და მოლდოვაზეც, მაგრამ მაშინ გვითხრეს ჩვენმა ევროპელმა კოლეგებმა, რომ ასეთი პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნა მიღებული, უკრაინა არის ომში, მოლდოვა არის გათანაბრებულ სიტუაციაში, ვინაიდან მოლდოვაში ნახევარ მილიონზე მეტი უკრაინელი ლტოლვილი მიიღეს და ა.შ., ამიტომ ჩვენ ეს ქვეყნები უნდა წავახალისოთ და ბონუსად უნდა მივცეთ სტატუსი, თქვენ დაელოდეთ, ანუ, მათაც ჯერ ბონუსად მისცეს სტატუსი და შემდეგ განუსაზღვრეს პრიორიტეტები, ჩვენ პირიქით, გვითხრეს, რომ შეასრულეთ ეს ვალდებულებები და შემდეგ მოგცემთო სტატუსს.

ვალდებულებების შესრულება დავიწყეთ ჩვენ დაუყოვნებლივ. აქ არის ბატონი პარლამენტის თავმჯდომარე, შალვა პაპუაშვილი. პირადად უხელმძღვანელა ამ პროცესს, ჩვენმა საპარლამენტო გუნდმა და მთლიანად ჩვენმა უმრავლესობამ. ყველა ვალდებულება ძალიან დროულად იქნა შესრულებული და, თუ რაიმე არის დარჩენილი პატარა ხარვეზი, მაგას, რა თქმა უნდა, ძალიან მალე გამოვასწორებთ. ჩვენ ეს პროცესი მივიყვანეთ თითქმის ბოლომდე, ალბათ, ივნისის ბოლომდე დაიხურება ეს ყველაფერი. დარჩა ერთი მთავარი – პოლარიზაციის დასრულება.

ჩვენ, კიდევ ვიმეორებ, ჩვენი შედეგებით, ჩვენი მუშაობით, ჩვენი მიღწევებით, განვლილი გზით ვიმსახურებთ კანდიდატის სტატუსს. რა თქმა უნდა, ძალიან გულსატკენი იყო ის განცხადება, რომელიც მოვისმინეთ ჩვენ შარშან, – ზოგმა გეოგრაფია დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ, ზოგმა სხვა რაღაც, ანუ დამსახურებაზე დაყრდნობილი პოლიტიკური გადაწყვეტილება თუ იქნება, მე მჯერა, რომ ჩვენი ქვეყანა მიიღებს კანდიდატის სტატუსს, რომ ამას იმსახურებს, კიდევ ვიმეორებ, ჩვენი ხალხი, ჩვენი ხელისუფლება, ჩვენი ქვეყანა.

...კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნო, რომ არ ყოფილიყო ჩვენი დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი, „ქართული ოცნება“, დღეს ქვეყანა უბრალოდ აღარ გვექნებოდა. ეს ადამიანები ხელისუფლებაში არ არიან და ყოველდღე ამბობენ, რომ უნდა გავაგზავნოთ ჯარი, სანქციები დავაწესოთ. პირდაპირ პროვოცირებენ, ომში ჩართვა უნდათ! ეს არის ომის პარტია, ამათ შემთხვევით არ დავარქვით ომის პარტია და ეს, წარმოიდგინეთ, ოპოზიციაში არიან 10 წელი უკვე, აგებენ ყველა არჩევნებს. ესენი, თეორიულად რომ წარმოვიდგინოთ, რომ ყოფილიყვნენ დღეს ხელისუფლებაში, რას იზამდნენ, ხომ ქვეყანას გადაწვავდნენ, იტყოდნენ, რომ მერე რა, აი, კიდევ დავიჩაგრეთ.

**ᲐᲦᲐᲠ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲔᲡ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲓᲐᲩᲐᲒᲕᲠᲐ, ᲬᲐᲒᲔᲑᲐ, ᲓᲐᲞᲧᲠᲝᲑᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲮᲐᲚᲮᲝ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ, ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ, ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ.**

ამიტომ, მიუხედავად ამდენი მავნებლებისა, ამდენი მტრებისა, შიდა თუ გარე მტრებისა, დღეს ხელისუფლება არის ძლიერი, ჩვენი გუნდი არის ერთიანი, ძლიერი და ჩვენი ხალხი არის ბრძენი, და ამ მშვიდობას შევინარჩუნებთ და ქვეყანას გავიყვანთ სამშვიდობოს!

რაც შეეხება დიასპორას, კიდევ ერთხელ მინდა, რომ მადლობა გადაგიხადოთ ყველას. მეც პირადად მაქვს გამოცდილი უცხოეთში ცხოვრება და მე მესმის, ძალიან რთული არის, როცა მოწყვეტილი ხარ შენს სამშობლოს, შენს მიწა-წყალს. ამიტომ, აუცილებელი არის ჩვენი უფრო მეტი ჩართულობა, ხელისუფლებასთან, მთავრობასთან, ეკლესიასთან ერთად. მე ადრეც ვთქვი და მინდა გავიმეორო, – ჩვენს დედაეკლესიას აქვს ძალიან დიდი როლი. მე პირადად ვიცი, რომ დიასპორები ორგანიზდებიან და იკრიბებიან ეკლესიის გარშემო. ანუ, ბუნებრივად, ორგანულად ეკლესია არის გამაერთიანებელი ჩვენი ქართველების, მათ შორის, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების ადამიანების. ამიტომ, ჩემი სრული მხარდაჭერა ჩვენს საპატრიარქოს და ჩვენს დიასპორებს!

ახლა რაც შეეხება რუსეთთან, ასე ვთქვათ, ურთიერთობას და ჩვენს პოლიტიკას. თქვენ იცით, რომ ბოლო 10 წელია ჩვენ არავითარი პოლიტიკური, ასე ვთქვათ, წინსვლა არ გვაქვს. ჩვენ თავიდანვე გავმიჯნეთ. ვთქვით, რომ ჩვენ ვაჭრობას, ეკონომიკას აღვადგენთ და განვსაზღვრეთ სტრატეგიული მოთმინების და მშვიდობის პოლიტიკა, მშვიდობიანი გზით დეოკუპაციის პოლიტიკა. მოთმინება არის ძალიან მნიშვნელოვანი, ჩვენ, ქართველებმა, ძალიან კარგად ვიცით მოთმინების ფასი, როგორც ბიბლიაში არის დაწერილი, უნდა ვიცოდეთ ქვების შეგროვების და ქვების განბნევის დრო, დრო სწორად უნდა შევარჩიოთ. ამიტომ, აუცილებელია სტრატეგიული მოთმინება. ჩვენ მშვიდობიანად უნდა მოვახერხოთ ქვეყნის დეოკუპაცია და ჩვენი ქვეყნის გაერთიანება.

**მე მჯერა, რომ ჩვენი ამ მშვიდობიანი პოლიტიკით, სწორი და ეროვნული პოლიტიკით, ჩვენს ქვეყანას გავიყვანთ მშვიდობის და გაერთიანების გზაზე. დიდი მადლობა, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!**

# ცოდნა რწმენით აღვსებული...



## ვინაიდან ჩვენ ვაცნობიერებთ ამ ძეგლის უწინდელ სულიერ იდეას საერო და სასულიერო მმართველობა, მეცნიერები და მოძღვრები, ერი და ბერი, ერთად ვდგავართ გელათის სიწმინდისათვის

**ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს საპატრიარქოს გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის პროგრამის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, გელათი უნივერსალური სულიერი იდეის მატერიალური ძეგლია, სადაც მეცნიერება და რწმენა ერთმანეთთან უნიკალურად არის შეზავებული.

პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სახელით, საქართველოს ეკლესიას, მეცნიერების წარმომადგენლებს, ქართველ საზოგადოებას საერთაშორისო დონის პროექტის განხორციელებაში თანადგომა გამოუცხადა.

**„მეუფე შიო, მეუფენო, ძვირფასო სტუმრებო, პატივცემულო მეცნიერნო და ძვირფასო დამსწრე საზოგადოებავ, გულითადად მოგესალმებით! მე მინდა, პირველ რიგში, კიდევ ერთხელ მოგილოცოთ ყველას საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. ეს დღე გვაერთიანებს ჩვენ ყველას და სიმბოლურია სწორედ, რომ ამ დღეს და ამ კვირეულში ჩვენ ვიკრიბებით ძალიან მნიშვნელოვანი საკითხის განხილვის გამო. მე მინდა კიდევ ერთხელ ჩემი მადლიერება და პატივისცემა გამოვხატო ჩვენი ძვირფასი პატრიარქის მიმართ, მეუფეების მიმართ, ჩვენი საპატრიარქოს მიმართ, ეკლესიის მიმართ, კიდევ ერთხელ დავადასტურო ჩვენი მოწიწებული პატივისცემა. მე ასევე მინდა ვთქვა, რომ, რა თქმა უნდა, ჩვენთვის გელათი წარმოადგენს ჩვენი ერის, მე ასე ვიტყოდი, განუმეორებელ სულიერ და კულტურულ მემკვიდრეობას.**

**ალბათ არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ გელათი არის მართლაც უნივერსალური სულიერი იდეის მატერიალური ძეგლი, სადაც რომ იტყვიან, მეცნიერება და რწმენა ერთმანეთთან არის უნიკალურად შეზავებული. ჩვენ კარგად მოგვეხსენება, რომ სწორედ ამ უნიკალური წმინდა სავანეს შექმნით, ჩვენმა დიდმა მეფემ, ლეგენდარულმა დავით აღმაშენებელმა სათავე დაუდო დიდი საეკლესიო მოღვაწის კლიმენტი ალექსანდრიელის მოძღვრების განხორციელებას, რომ ცოდნა აღვსებული ყო რწმენით და რწმენა გამხდარიყო მცოდნეობითი!**

**ამ გზით მოდიოდა გელათი საუკუნეთა განმავლობაში და დღეს ჩვენც, თანამედროვე საქართველოს მოქალაქენი, შვილები, ასე ვიტყოდი, სწორედ ამ ვალდებულების და აუცილებლობის წინაშე ვართ. საერო და სასულიერო მმართველობა, მეცნიერები და მოძღვრები, როგორც იტყვიან, ერი და ბერი, ერთად ვდგავართ გელათის სიწმინდისათვის ვინაიდან ჩვენ ვაცნობიერებთ ამ მატერიალური ძეგლის უწმინდეს სულიერ იდეას და თითქოს ისევ, კვლავ გვაერთიანებს ჩვენი დიდი მეფე დავითი და გვახსენებს, თუ სად იქმნება და სად არის ქართველი ერის ჭეშმარიტი ერთობის ადგილი. ამიტომ მე მინდა, ჩვენი მთავრობის სახელით, საქართველოს ეკლესიას, მეცნიერების წარმომადგენლებს, ქართველ საზოგადოებას დაგიდასტუროთ ჩემი თანადგომა ამ საერთაშორისო დონის პროექტის განხორციელებაში.**

**მე ვარ ბედნიერი და მიხარია, რომ კვლავ ერთად ვდგავართ ჩვენი ერის სულიერი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის და მაქვს პატივი, საქართველოს ეკლესიასთან ერთად, უზრუნველვყო გელათის სამონასტრო კომპლექსის კონსერვაციის წარმატებით განხორციელება. კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ, მეუფე შიო, ძვირფასო საზოგადოებავ და ყველა ადამიანს, ვინც არის ჩართული და ვინც იქნება ჩართული შემდგომში ამ ეპოქალური პროექტის განხორციელების საქმეში, მინდა, ყველას მადლობა ვუთხრა და წარმატება ვუსურვო. დიდი მადლობა“!**

პრემიერ-მინისტრს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სახელით, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა მეუფე შიო მუჯირმა გელათის საქმისადმი გამოვლენილი დიდი გულისხმიერებისთვის მადლობა გადაუხადა.

უკანასკნელ წლებში, გელათის სამონასტრო კომპლექსში განხორციელებული სამუშაოებისა და მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე შექმნილი სირთულეების შემდეგ, საქართველოს მთავრობის ინიციატივით ძეგლის რეაბილიტაციის პროცესს სათავეში ჩაუდგა საქართველოს საპატრიარქო, რომელიც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში განაგრძობს საქმიანობის წარმართვას.

საქართველოს საპატრიარქოს მიერ მომზადდა გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის პროგრამა – შეიქმნა კომპლექსის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტი, რომლის მიზანია UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და მისი მრჩეველი ორგანოების – ICOMOS-ისა და ICCROM-ის მისიების ანგარიშებში აღნიშნული რეკომენდაციების საფუძველზე ძეგლის საკონსერვაციო სამუშაოების უზრუნველყოფა.

* * *

საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა **შიომ (მუჯირი)** გელათის სარეაბილიტაციო პროცესის წარდგენაზე გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ ვითარებაზე ისაუბრა და საზოგადოებას სამომავლო ხედვა და გეგმები გააცნო.

**„ჩვენთვის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის - იუნესკოს მიერ მოცემული რეკომენდაციების შესრულება, რისთვისაც, ამ არასრული ორი თვის განმავლობაში, საპატრიარქოს მიერ შესრულდა საწყისი ეტაპისთვის აუცილებელი შემდეგი სამუშაოები:**

**1. იუნესკოს რეკომენდაციის თანახმად, საქართველოს საპატრიარქომ დააფუძნა გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტი. საკონსერვაციო სამუშაოების მაღალი სამეცნიერო სტანდარტით შესრულებისათვის, კომიტეტის სტრუქტურაში შეიქმნა საერთაშორისო და ადგილობრივ მეცნიერთა საბჭოები.საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოში მოვიწვიეთ მსოფლიოში აღიარებული უცხოელი სპეციალისტები, ხოლო ადგილობრივი სამეცნიერო საბჭო დაკომპლექტდა კულტურული მემკვიდრეობის დარგში მოღვაწე ქართველი მეცნიერებით.**

**2. იუნესკოს მთავარი და უცვლელი რეკომენდაცია არის გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის, დაუყოვნებლივ, მთლიანი დამცავი დროებითი გადახურვის ქვეშ მოქცევა, რამაც კედლის მხატვრობის გადარჩენაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს. ამის განსახორციელებლად, ჩვენ მოლაპარაკება ვაწარმოეთ გერმანულ კომპანია „ლეიერთან“, რომელიც მსგავსი სამუშაოების შესრულებაში ამჟამად მოწინავეა მსოფლიოში.**

**3. მოგეხსენებათ, რომ გელათის ტაძრის მთავარ პრობლემას კედლის მხატვრობის მძიმე, დაზიანებული მდგომარეობა წარმოადგენს. ჩვენ მოვიწვიეთ მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტები: ბატონი სტივენ რიკერბი და ქალბატონი ლიზა შეკედე, რომლებიც საქართველოში 10 ივლისს ჩამოდიან. ისინი მეცნიერულად შეისწავლიან არსებულ ვითარებას და მოგვცემენ პირველ რეკომენდაციებს!**

**4. ასევე მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის – იუნესკოს მოთხოვნის თანახმად, ჩვენი ადგილობრივი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, შეიქმნა გელათის ტაძრის ჩრდილოეთ, სამხრეთ და დასავლეთ მკლავების კამარებისა და აფრების გრაფიკული სქემები და ზუსტი აღწერა-დოკუმენტაცია. ეს პროცესი, როგორც მთელი ტაძრის სივრცეზე, ასევე წმინდა გიორგის ტაძრის მხატვრობაზეც განხორციელდება.**

**5. იუნესკოს კიდევ ერთი რეკომენდაციის შესასრულებლად, აღმოსავლეთ მკლავში მოეწყო უსაფრთხო-ინვენტარული ხარაჩო, რაც სპეციალისტებს საშუალებას მისცემს დაათვალიერონ და მეცნიერულად შეისწავლონ საკურთხევლის აფსიდის უნიკალური მოზაიკა, რომელიც პირველადი შეფასებით, აშკარად საჭიროებს საკონსერვაციო მიდგომებს.**

**6. ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, საქართველოს საპატრიარქომ მოლაპარაკებები წარმატებით დაასრულა მსოფლიოში აღიარებულ ორგანიზაცია – „სტუდიო პროჯეტაციონე ე კონტროლთან“. ეს კომპანია მოწვეულია გელათის კონსტრუქციული, სეისმური და სტრუქტურული კვლევისა და სამუშაოების შესასრულებლად. კომპანიის დირექტორი – ბატონი ალესანდრო ბოცეტტი და მთავარი სპეციალისტი – ბატონი კრისტიანო რუსსო, გელათში 1 ივნისს ჩამოვლენ. აღსანიშნავია, რომ ეს კომპანია ამჟამად რომის კოლისეუმის სტრუქტურული კვლევისა და გამაგრების სამუშაოებს აწარმოებს“,** – განაცხადა შიო მუჯირმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ გელათის აღდგენის პროცესი იქნება გამჭვირვალე და ინფორმაცია მიმდინარე სამუშაოების შესახებ საზოგადოებას მიეწოდება მედიისა და ინტერნეტპლატფორმის საშუალებით.



## დავით ქართველიშვილი:

## ჯანსაღი პოლიტიკური ძალები აუცილებლად ჩაანაცვლებენ თქვენნაირ კოლექტიურ „კუზილიუსებს“...



**„მინდა მადამ „პღეზიდანს“ მოლოდინები გავუცრუო – ევროპა მხოლოდ „გლობალური ომის პარტიის“ წარმომადგენლების მხრიდან (ვისი რეზიდენტიც თქვენ ბრძანდებით) არ იმართება და ჯანსაღ ევროპულ პოლიტიკურ ძალებს, თქვენზე უკეთესად ესმით იმ საქართველოს ადგილი და არსი თანამედროვე მსოფლიოში, რომლის აზრზეც არ ხართ და არც არანაირი სურვილი გაქვთ – აზრზე იყოთ“**, – ასე გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტის 26 მაისის ზეიმზე გამოსვლას „ხალხის ძალის“ წევრი, ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** სოციალურ ქსელში.

ქართველიშვილის თქმით, დღეს საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს იმ პოლიტიკურ ძალას, რომლის წარმომადგენლებიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მძღოლებად ემსახურებოდნენ რუს სამხედროებს.

**„მადამ „პღეზიდანი“: „ახლა, ამ ტრიბუნიდან მინდა მივმართო, გიორგი ანწუხელიძისა და გიგა ოთხოზორიას ოჯახებს, მე როგორც ამ ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი, ბოდიშს ვიხდი იმ შეურაცხყოფისთვის, რომელიც არამხოლოდ თქვენ, არამედ მთელი ქვეყნის შეურაცხყოფაა“.**

**აქ რომ გაჩუმებულიყო, კიდევ იფიქრებდა ადამიანი, რომ ეს რეზიდენტ – „პღეზიდანი“ იმაში უხდის მათ ბოდიშს, რომ ანწუხელიძის წამებით მოკვლაზე ბრძანების მიმცემი ორი რუსი გენერლის პირად მძღოლებად, 2008 წლის აგვისტოში იმ ძალების წარმომადგენლები მუშაობდნენ, რა ძალებსაც დღეს თავად წარმოადგენს.**

**ანწუხელიძის მკვლელებს სამეგრელოში ემსახურებოდა – გუბერნატორი გოროზია, ის გენერალ ჩაბანის პირადი ლაქია იყო. ხოლო შიდა ქართლის გუბერნატორი ვარძელაშვილი – გენერალ ბორისოვის მძღოლი იყო. ასე რომ, მათი სამარცხვინო თანამონაწილეობა ანწუხელიძის წამებაში, ჩემთვის არანაირ ეჭვს არ იწვევს. ამ ორ მოღალატეს ჰქონდა უნიკალური შესაძლებლობა – იქვე, საკუთარ ჯიპებში, ამ ორი გენერლისთვის სასიკვდილო განაჩენი სისრულეში მოეყვანათ, თუნდაც საკუთარი მსხვერპლშეწირვის ფასად, მაგრამ ვისზე ან რაზე ვსაუბრობთ საერთოდ...**

**მოკლედ, ჩემი მოლოდინი არ გამართლდა. „პღეზიდანმა“ გააგრძელა თავისი სამარცხვინო სიტყვა და ევროპის წინაშე მოქმედი ხელისუფლების გამო მოიხადა ბოდიშები. თურმე, აი ვინ ყოფილა მის თვალში „სამარცხვინო“. მან სიტყვა „შეურაცხყოფაც“ ახსენა და მისი ჭეშმარიტი არსი ჩვენ უნდა გვკითხოს, ვინც დღეს გავუძელით მისი ბაგეებიდან სახელმწიფო ღალატის შემცველი მორიგი „არიის“ მოსმენას.**

**მინდა მადამ „პღეზიდანს“ მოლოდინები გავუცრუო - ევროპა მხოლოდ „გლობალური ომის პარტიის“ წარმომადგენლების მხრიდან (ვისი რეზიდენტიც თქვენ ბრძანდებით) არ იმართება და ჯანსაღ ევროპულ პოლიტიკურ ძალებს, თქვენზე უკეთესად ესმით იმ საქართველოს ადგილი და არსი თანამედროვე მსოფლიოში, რომლის აზრზეც არ ხართ და არც არანაირი სურვილი გაქვთ – აზრზე იყოთ.**

**ეს ძალები აუცილებლად ჩაანაცვლებენ თქვენნაირ კოლექტიურ „კუზილიუსებს“, როდესაც საქართველოსთან თანამშრომლობის პერსპექტივებს მიუდგებიან პრაგმატულ და სამართლიან ჭრილში. თქვენ კი არ აგცდებათ პოლიტიკურ სანაგვეზე დამსახურებული ადგილი, გოროზიასთან და „ჩაბანებთან“ ერთად. სულ ცოტა ხანში, არა „ოღევუაღ“-ს, არამედ - „ადიო“-ს ადგილს მიგიჩენთ, თქვენთვის უცხო და ამოუცნობი ქართველი ერი“,** – წერს ქართველიშვილი.

**„რეპორტიორი“**

# „მინდა, მინდა მთელი დედამიწა მინდა!“




გამოვიდა ახალი წიგნი – „ტანტრუმი – უნდა, უნდა“, (ტანტრუმი – მოთხოვნილებების მრისხანებით ამოხეთქილი ემოციებით გამოხატვაა). ნაწარმოების ავტორი, ია საკანდელიძე, პროფესიით ექიმია, მაგრამ მას ასევე ვიცნობთ, როგორც საინტერესო პუბლიცისტს. 2018 წელს გამოქვეყნდა მისი რომანი „ხურდაში მოქცეულთა სიყვარული“. პიესის „ტანტრუმი – უნდა, უნდას“, მთავარი პერსონაჟი – ლუკა, აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე 6-7 წლის ბიჭია, რომელიც, ხშირად ვარდება ტანტრუმში და გაჰყვირის „უნდა, უნდას!“თუმცა წიგნში მხოლოდ აუტიზმზე არ არის საუბარი. იგი აუტიზმის სარკმლიდან გვამცნობს თანამედროვე სამყაროს...

პიესის ერთ-ერთ მთავარ სათქმელსაც პიესის პერსონაჟი – ბიძინა აჟღერებს: „განგება ხშირად ბავშვების პირით გველაპარაკება ხოლმე! ლუკა, ჩვენი გურუ ბიჭი, იქნებ, ამ „უნდა, უნდას“ ძახილით, იმ მავნებლების „მინდას“ ახმოვანებს, ყველაფერი რომ უნდათ, მთელი დედამიწის ჩათვლით! ხომ ვხედავთ, შეატორტმანეს კიდეც ეს დედამიწა.“ ასევე საინტერესოა პიესის პერსონაჟის – შალვას მონოლოგი: „აქეთ ათასობით ტონა ყინული დნება, იქით ტყეები –სამყაროს ფილტვები იწვის. მეორე მხარეს უკრაინა იწვის და ინგრევა... თითქოს დედამიწას კორონა და აუტიზმი ერთად დამართეს და ისიც ტანტრუმშია! ალბათ განგება გამოგზავნილი დაავადებებით გვამცნობს, რა ემართება ბუნებას ჩვენი უწესო ცხოვრებით!“

საგულისხმოა ბიძინას მიმართვა ახალგაზრდებისადმი: „დღეს ყველაფერი ერთმანეთშია აზელილი – სიმართლე, სიცრუე, სიკეთე და ბოროტებაც! გალანძღულია ეკლესია, სოციალიზმიც, კაპიტალიზმიც, დემოკრატიაც და ეკონომიკურად ძლიერი ადამიანებიც, ანუ ყველაფერი, რასაც და ვისაც შეეძლო გადაერჩინა ეს ქვეყანა! პრიორიტეტებიც ვერ აგვირჩევია სწორად! პლურალიზმი კი, როგორც ვხედავთ, მართალი აზრის ჩამკარგველი აღმოჩნდა მხოლოდ!“

პიესის ასევე მნიშვნელოვანი სათქმელი ბახტრიონის ომის გახსენებაა... ამ მიზნით პიესაში განიხილავენ ფილმს, რომელიც თითქოს ახლიდან გადაიღეს ბახტრიონის ბრძოლის შესახებ. ფილმის გმირის ბიძინას წუხილზე – „უკვე სოდომის ცოდვით გვბილწავენ, მღვდელს პატივს ყრიან და რჯულს გვიოხრებენ, ეს უკვე ბოლო წვეთიაო!“ – ისმის პიესის პერსონაჟის შეკითხვა: „დაფიქრდით, დღევანდელი დღე არ გახსენდებათო?“ საგულისხმო თანხვედრაა შემდეგ ფრაზებშიც: „ვხედავთ, ალავერდს და ბახტრიონს“ როგორ იმხრობენ სათავისოდ ყიზილბაშები?!,“ ცხადია მოგაგონდებათ, ჩვენი ახალაშენებული კორპუსები, მთელ სართულებს რომ ყიდულობს სხვადასხვა ეროვნების ადამიანი!“ – ეს ნაწარმოები ეფუძნება კიდევ ერთ, იმედისმომცემ პოზიციას: „სინდისსა და სამართლიანობას ღმერთი პატრონობს, თუ დაანახებ, რომ ეს მხარეც არსებობს და უფრო მეტია, ვიდრე ის ბოროტი ძალა. მარტონი ვერაფერს გავხდებით და ვართ ასე უხილავი ჯაჭვით გადაბმულები ჩვენი არსის და შეგნების შესაბამისად“.

ნიშანდობლივია, პიესის ერთ-ერთი ყველაზე ბოროტი პერსონაჟის – ჩადუნელის დიალოგი თავის პარტნიორთან: „ჰმ, რელიგია მეტაფიზიკის ნათელი ნაწილიაო“. „ეგენი ძალიან გვიშლიან ხელს, ჯონის ბიჭები ფეხზე დააყენე და ნახონ, თუ უშველით ღვთიური ორბიტა მაგ შერეკილებს!“ საყურადღებოა ჩადუნელის სხვა მოსაზრებებიც: „მაგათი ადგილი აღარ არის ამ სამყაროში?! მალე ჩავძირავთ რუსეთს და მაგ ჩიტირეკიებსაც ზედ მივაყოლებთ!“

მიუხედავად იმისა, რომ პიესა ძალიან ბევრ აქტუალურ თემას ეხება, იგი სიუჟეტურად მაინც კარგად არის შეკრული. მარტივი დიალოგებით ვისმენთ საინტერესო მოსაზრებებს, ჰიპოთეზებს. დინამიკურადაა წარმოდგენილი მოვლენები, კონფლიქტები, კურიოზები, საინტერესო ფსიქოლოგიური წიაღსვლები. პიესა არც იუმორის ნაკლებობას განიცდის და, რაც მთავარია, მტრობის დამამრცხებელი ანანოსა და ნიკას სიყვარულის ისტორიით, გამოკვეთილია ბედისწერის თავისებურებისა და სიყვარულის კანონზომიერი თანხვედრა...თან ეს ყველაფერი ნათლად და მკაფიოდ არის ნათქვამი. დიახ, აღარ გვაქვს უფლება, დღეს, აპოკალიფსის ზღურბლთან, ხელოვნება ეგრეთ წოდებული „დიდი ხელოვნების“ ბუნდოვანებასა და ლიბერალების მომაკვდინებელ მარწუხებში ჩავტოვოთ!

ვიცი, რომ ეს პიესა ჩვენმა ცნობილმა რეჟისორმა, ბატონმა თემურ ჩხეიძემ წაიკითხა... სამწუხაროდ, იგი შედარებით დიდი მოცულობის პიესის პირველ ვერსიას გაეცნო. მას და პიესის ავტორს მსჯელობა ჰქონდათ ნაწარმოების შემცირებულ ვარიანტზე, რაც ბატონი თემურის სიცოცხლეში ვერ მოხერხდა... პიესა ასევე კარგი მასალაა მხატვრული ფილმისთვის.მიმაჩნია, რომ ამ ნაწარმოებს უნდა გაეცნოს მკითხველი და ამავე დროს, დაიდგას იგი სცენაზე და იხილოს მაყურებელმა!

**ზაურ ნაჭყებია,**
ლიტერატორი, პუბლიცისტი,
ტელეგადაცემების ავტორი და წამყვანი

# რატომ მომეწონა ეს პიესა?!

„ისტორიულ პროცესთა მდინარებაში, როგორც ხორბალი ლენცოფისგან, ისე გაირჩევა კეთილისმოქმედთა და ბოროტისმოქმედთა ღვაწლი“ (წმ. იოანე დამასკელი). ამბობენ ღვთის მადლით, ერის ხსნას რჩეული ადამიანების ღვაწლი განაპირობებს.

რას აკეთებენ დღეს თანამედროვე შალვა, ელიზბარი, ბიძინა, დემეტრე, ცოტნე, ლუარსაბი და მათი შთამომავალნი? – ვკითხულობთ პიესის დასაწყისში. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ პიესაში სწორედ ბიძინა, შალვა და ელიზბარი წარმოადგენენ გამორჩეულ პერსონაჟებს, რომლებიც თავიანთი ხასიათით, აზროვნებითა და მოქმედებით ადამიანის ფსიქიკის სხვადასხვა ინსტანციას ახმოვანებენ. მაგალითად, შალვა პროფესიით ექიმია, ანუ ადამიანის ბიოლოგიური მოცემულობებისა და მოთხოვნილებების კარგად მცოდნე. შესაბამისად, მისი პიროვნებით ავტორი ახმოვანებს ადამიანთა ფსიქიკის პირველ ინსტანციას, მოთხოვნილებათა ერთობლიობას – ანუ Idi-ს თუმცა ისიც შესამჩნევია, რომ თავისი მეგობრებისაგან განსხვავებით, მისი ცხოვრება რამე ოჯახური დრამით არ არის დამძიმებული, ქვეყნად არსებულ გარემოებებთან მეტი ამტანობა და მიმღეობა აქვს. შედარებით უფრო ზედაპირულად აფასებს მოვლენებს, ხშირად ხუმრობს, იცინის და ეს არ ხდება შემთხვევით. აქ თანამედროვე მედიცინის კონფორმისტული ხასიათია გამოვლენილი. თუმცა შალვა მაინც დადებითი პერსონაჟია, ავტორს სურს, არც ის და არც მისი მეგობრები, პატრიოტული ღირებულებებით, ძალიან დააშოროს თავიანთ ისტორიულ სეხნიებს.

ლუკას მამა – ელიზბარი, ყოფილი მოსამართლეა... სიმბოლურად საზოგადოების ამქვეყნიური შესაძლებლობების განმსაზღვრელი. პიესაში მის პიროვნებას ავტორი უსადაგებს ფსიქიკის აღმასრულებელ ორგანოს – Ego-ს. თუმცა იგი ცდილობს, ჩადენილი შეცდომები გამოასწოროს გარკვეული მომენტიდან, როგორც სავლე პავლედ, ისე იქცევა ადვოკატად ...

ბიძინა, როგორც სასულიერო პირი და მეცნიერი, დადებით გავლენას ახდენს თავის სტუდენტებზე და მეგობრებზეც. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ საზოგადოების სულიერი ცენზორია – და ფსიქიკის მესამე ინსტანციას – Super ego-ს, ანუ სინდისს ახმოვანებს პიესაში. ამიტომ ამბობს ელიზბარი: „ბიძინა, ჩვენი სინდისი და მართალი კაცი.“

ნიშანდობლივია, რომ, როგორც დღევანდელ ფსიქიატრიაში მოიხსენიებენ სუპერ-ეგოს უსარგებლო სტრუქტურად, ასევე მოიხსენიებს ბიძინას პიესის უარყოფითი პერსონაჟი ჩადუნელი, უფრო მეტიც, მოკვლასაც კი უპირებს მას!

ავტორის აზრით, ჩვენი პრობლემების ერთ-ერთი გამოსავალი ასეთია: არსებული კანონები უფრო მეტად უნდა იცავდეს ადამიანს და თანდათან უფრო მეტად უნდა მოხდეს მეცნიერებისა და რელიგიური მცნებების შეჯერება-შეთანხმება. სწორედ ამ შემთხვევაში გვევლინება სინდისი, როგორც „საზრისის ორგანო“ (ნოოსფეროს აკადემიის დამაარსებელი ირინა კალანდაძე) და განაპირობებს იმ წინაპირობას, რომელიც ადამიანის მოთხოვნილებას და შესაძლებლობას მორალურ ჩარჩოებში ამყოფებს. ამიტომ მიმართავს გოგილო ამ ბატონებს: ,,საუკუნეების წინ გააერთიანა ეს სახელები ღმერთმა. ვიცი, რომ თქვენს ერთობას, საკუთარი სინდისის, მოთხოვნილებისა და შესაძლებლობათა შორის რთულ ლაბირინთებში მუდამ დაჰყვებოდა ღვთის მადლი და სიბრძნე. ასე მგონია, ნაფიქრი გექნებათ, როგორი უნდა იყოს ჩვენი დროის ბახტრიონის ბრძოლა, რომელმაც შეიძლება გადაგვარჩინოს!“ დანარჩენი პიესაში იხილეთ... სადაც ბოროტებაზე გამარჯვება ისეთი ლოგიკური დასასრულია, ვეღარც კი წარმოიდგენთ სხვაგვარ ფინალს. ამიტომ მიმაჩნია, რომ უნდა დაიდგას ეს პიესა, სადაც ყველა სიტყვასა თუ წინადადებას, თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული...

**მარინა შაქარაშვილი,**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის პროფესორი.

# რატომ დავწერე „ტანტრუმი“?!

დღეს, მოსახლეობის საგულისხმო ნაწილი, ხელისუფლებას, მიუხედავად იმისა, რა გადაწყვეტილებას მიიღებს იგი მუდამ დამნაშავედ მიიჩნევს. საარსებო საშუალება კი ყველაზე სარფიანად ქვეყნის ინტერესების შელახვით გამომუშავდება და რაიმე კანონით ამ პროცესის შეჩერების საშუალებას არც პარტნიორი ქვეყნები გვაძლევენ და არც ანგაჟირებული მოსახლეობა. სწორედ ამიტომ ვათქმევინე პიესის პერსონაჟს: „თუ გვინდა, რომ ეს ქვეყანა, ჩვენ „გვეყუდნოდეს“, ხალხმაც და ხელისუფლებამ ერთმანეთის მტრობას თავი დავანებოთ. ამით ხელისუფალთ დასაყრდენი ძალა სხვა ქვეყნებში აღარ ექნება საძიებელი და ჩვენი ინტერესების საწინააღმდეგო დავალებებს ისევ ადვილად ვეღარ დააკისრებენ-თქო!“

მით უფრო, როცა საერთო კანონების მიმღეობის ძალა ხუნდება, იქ იწყება და ასპარეზზე გამოდის თეატრის, კინოს, ასევე, ეკლესიის და ბოლოს ქუჩის კანონების ზემოქმედება ხალხზე!

სანამ ამ უკანასკნელამდე მივა საქმე, ხელოვნებას თავისი სიტყვის თქმა ევალება. ამიტომ ეფუძნება პიესა დიდი თეატრალის ვალერიან გუნიას მოსაზრებას: „თეატრი სჯის, გვასწავლის, თვალს გვიხელს და გვაფრთხილებს ცხოვრების ყოველი განსაცდელისაგან, რომელნიც წარმოსდგებიან ადამიანის უუნარობისგან, გულისთქმისა, უგუნურობისა და უზნეობისაგან“.

პიესა „ტანტრუმი – უნდა, უნდა“ აუტიზმის, კორონასა და ომის ტრანსდისციპლინარული გააზრებით, ახლებურად გვაცნობს სამყაროს და, როგორც ერთი პერსონაჟი ამბობს: „აუტიზმიც და კორონაც თავიანთ კლინიკურ სიმპტომებს თითქოს „კოპი პეისტით“ იღებენ ჩვენი ცხოვრების წესიდან“... დიდი ხანია, ლიბერალ-დემოკრატები გვმოძღვრავენ, რომ ხელოვნება არ უნდა შეიცავდეს იდეოლოგიურ ჩანართებს. თუმცა მალევე გაირკვა, რომ ლიბერალური შეხედულებების ტირაჟირება აუცილებელია სოციალური სტატუსის შესანარჩუნებლადაც კი!!!

ასევე, სიამაყით გვაცნობეს, რომ თურმე ადამიანს აქვს უფლება, იყოს უზრდელი... დიდი ხანია მონდომებით აპიარებენ ნიცშეს მოსაზრებებს: „წაქცეულს ხელი ჰკარი,“ ან – „ზეკაცის“ იდეას – „ღმერთი მოკვდა და ახალი უნდა დავბადოთო.“ თუმცა თუ ადრე ყველა „ზეკაცის“ იდეა იყო, რომ გატოლებოდა ღმერთს, უკვე ეს მისწრაფება გამოიხატება უფრო დიდი ამბიციით – თავად შექმნას ისეთი ცოცხალი ორგანიზმები,რომლებიც მათთვის სასურველი თვისებებისა და პარამეტრების მატარებლები იქნებიან... დიახ, ასე სიცოცხლეს ვერ შევინარჩუნებთ...

ამიტომ პიესაში, ჩვენი გამორჩეულ წმინდანების: ბიძინას, შალვასა და ელიზბარის გახსენებით, მინდა ამ დროშიც „ჩამოირბინოს“ იმ რწმენამ, პასუხისმგებლობამ და ღირსებამ, რომლითაც ჩვენამდე ინარჩუნებდნენ თავს!.. პიესაში გამოყენებული მიზანსცენები, სიზმრები შეიძლება მივიჩნიოთ იმ სარკმელად, სადაც სპექტაკლის საშუალებით „ვათამაშებ“ იმ სცენასა და იმ ენერგეტიკულ ველს, რომელიც საჭიროა ჩვენი პრობლემების მოსაგვარებლად... თორემ დღეს „თავისუფლება, ისე გააუპატიურეს, როგორც საზოგადოებას სჭირდება პატრონი ამ ლიბერასტებისგან თავის დასაცავად, ისე – ამ თავისუფლებასაც, მთლად რომ არ განუტევოს სული!“ (ნაწყვეტი პიესიდან).

პიესა ჰომოსექსუალიზმის პრობლემებსაც ეხმიანება: „ადამიანი და გარე სამყარო ორივე ღია სისტემაა და როგორც გარემო მოქმედებს ადამიანზე, ისე ადამიანი თავისი ცხოვრების წესით ზემოქმედებს გარემოზე“. ხოლო „ქალისა და მამაკაცის ტრადიციული ურთიერთობა, ეს იმ ორი ურთიერთსაპირისპირო მუხტის არსებობის გაგრძელებაა, საიდანაც იწყება ჩვენი ხილული სამყაროს განვითარება და რომლის ირგვლივაც ბრუნავს დღემდე დედამიწა! ამიტომ მთავარი კანონზომიერი პროცესია ამ სამყაროში, ომიანობის შემდეგ გაცილებით მეტი ბიჭი იბადება აუცილებელი ენერგეტიკული ბალანსი რომ არ დაირღვეს?! ვინ მოგვცა მისი შეცვლის უფლება?!“

რაც შეეხება, აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებს, მათ დიდ ნაწილს ბევრი მკვლევარი მიიჩნევს იისფერი გამოსხივების მქონე ადამიანებად, რომლებსაც ცნობიერების ისეთ სიხშირეზე გადასვლა შეუძლიათ, როცა ხდება იმ პრობლემატური საკითხების გადაჭრა, რომლებსაც დღევანდელი კაცობრიობა ვერაფერს უხერხებს. ვსარგებლობ ამ მოსაზრებით და ვცდილობ, ლუკასა და სიზმრის საშუალებით ჯერ მეტაფიზიკურად დავამარცხო ბოროტება (ამქვეყნად ხომ ყველაფერი ჯერ მეტაფიზიკური თანხვედრით იწყება და მერე ხორციელდება რეალურად). ამ მომენტში, პიესაში გაისმის მნიშვნელოვანი ფრაზები: – „მინდა,მთელი დედამიწა, მინდა...“ მერე ჯვრისა და მზის სინათლის წყალობით მოძალადე მიწაზე ეცემა.. ხოლო სიზმრის შემდეგ, პიესაში უკვე რეალურად მარცხდება იგი. თან, ეს ფაქტი ყველა თაობის ერთობლივი სულისკვეთების საშუალებით ხორციელდება. ამ გზით მინდა,35 წელი მხატვრული ფილმი ,,მონანიებიდან“ ჩვენ ცხოვრებაში გადმოსული სიმბოლური ფორმულირება – წინაპართა ფესვების თხრა და მომავალი თაობის საგულისხმო ნაწილის თვითმკვლელად ქცევა ჩანაცვლდეს ასეთი სიმბოლური ფორმულირებით –– თაობათა საერთო ძალისხმევით სიკეთისა და სიცოცხლის გამარჯვებით! ამიტომ არის ეს სცენა გამოტანილი წიგნის ყდაზე...

ცხადია, ეს ყველაფერი მხოლოდ ჩემთვის არ არის საფრთხის შემცველი! მე ჩემი ვალი მოვიხადე საკუთარი თავისა და ღმერთის წინაშე..უკვე, ჯერი რეჟისორზეა. ადრე, სახელმწიფოს დოტაციაზე მყოფი თეატრები მაინც ახერხებდნენ საგულისხმო სათქმელის გაჟღერებას. ამიტომ სანამ ლიბერალიზმს მთლიანად ჩაუყლაპავს ეს ქვეყანა, ვისარგებლოთ ხსენებული „სიტყვის თავისუფლებით“ და შეიქმნას ქვეყნის ჯანსაღი იდეოლოგია, რომელიც ხელს შეუწყობს პროგრესული აზრის განვითარებას... ამაში თეატრს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია.



**ია საკანდელიძე**



## სამშობლოში – 100 წლის შემდეგ

**საქართველოს დამოუკიდებლობისა და ქართული დიასპორის ფორუმის დღეებში, საქართველოში ქართველი პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ამიერკავკასიის სეიმის, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრე ლომთათიძის ნეშტი ჩამოასვენეს, რომელიც გუშინ, 28 მაისს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.**

წმინდა სამების საკათედრო ტაძარში ალექსანდრე ლომთათიძის სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა, რომელსაც საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი პირები და საპატრიარქოს წარმომადგენლები დაესწრნენ.

ალექსანდრე ლომთათიძე 1912 წელს, პოლიტიკური საბაბით დააპატიმრეს და გადაასახლეს ვოლოგდის გუბერნიაში. 1913 წელს გაემგზავრა საზღვარგარეთ, ცხოვრობდა ლაიფციგში. 1913 წელსვე დაბრუნდა ტფილისში და მუშაობდა პედაგოგად. 1917 წლის მარტში ის მონაწილეობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში. 1917 წლის ნოემბრიდან ლომთათიძე იყო ჯერ საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, ხოლო 1918 წლის თებერვლიდან ამიერკავკასიის სეიმის წევრი. მან ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. 1918 წელს იგი იყო საქართველოს პარლამენტის წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. 1919 წლის თებერვალში აირჩიეს თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარედ.

1919 წელს, ალექსანდრე ლომთათიძე გახდა საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრი და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე.

1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპირების შემდეგ იგი არ წავიდა ემიგრაციაში, დარჩა საქართველოში და ჩაბმული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1921 წლის 13 ივლისს იგი დააპატიმრეს, მოგვიანებით კი გადაასახლეს. საქართველოში 1924 წლის აგვისტოს ანტისაბჭოთა აჯანყების შემდეგ, ალექსანდრე ლომთათიძე კვლავ დააპატიმრეს ტაშკენტში და მოათავსეს ციხეში, სადაც მალევე გარდაიცვალა 42 წლის ასაკში. დაკრძალეს იქვე, ტაშკენტში, ქრისტიანთა სასაფლაოზე.

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე ლომთათიძის საფლავი უზბეკეთში საქართველოს საელჩოს მიერ იქნა მოძიებული. მისი ნეშტის გადმოსვენება კი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, საგარეო საქმეთა სამინისტროს, თბილისის მერიის ჩართულობითა და საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერით განხორციელდა.

## კუს ტბის ახალი სიცოცხლე

**თბილისელების და მისი სტუმრების საყვარელი დასასვენებელი ადგილი კუს ტბა, სულ მალე განახლებული და გალამაზებული დახვდება ვიზიტორებს.**



კუს ტბის მესაკუთრეებმა ტერიტორიის განვითარების წინადადებით თბილისის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიმართეს. გეგმარებითი დავალების დამტკიცების პროცედურა უკვე თითქმის 10 თვეა მიმდინარეობს და კუს ტბისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია-განახლებას გულისხმობს. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ცენტრალური მოედანი, სადაც ამ დროისთვის პარკინგია განთავსებული, სრულად გათავისუფლდება და ამ ადგილზე მიწისქვეშა პარკინგი მოეწყობა. ასევე პროექტის მიხედვით გეგმაშია, მიწისქვეშ კვების ობიექტის მოწყობაც, ხოლო დღეს პარკინგად ქცეული მოედანი საფეხმავლო სივრცედ გადაკეთდება.



## ხვიჩა – სახელად ვარსკვლავი

**ხვიჩა მეგრულად „ვარსკვლავს" ნიშნავს. გიორგი კეკელიძის წიგნი „ხვიჩა – ვარსკვლავი, სახელად ვარსკვლავი" უკვე იყიდება. წიგნს თან ერთვის აკა მორჩილაძის წინასიტყვაობა. კონსულტანტები არიან ხვიჩას მშობლები – მაკა ლუკავა და ბადრი კვარაცხელია. პროდიუსერი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი ბერიკა შუკაკიძეა.**

პროდიუსერი აცხადებს, რომ ხვიჩა კვარაცხელიას სიყვარულით, საქართველოს წელს იტალიელები ეწვევიან და მათ შორის არიან ისეთებიც, ვინც საინტერესო სანაძლეოს მოიგებენ!..

**ბერიკა შუკაკიძე:** ამ ზაფხულს ველოდებით ნეაპოლელებს საქართველოში. ხვიჩამ დაბალი ეკონომიკის მქონე ქალაქში სიხარული დააბრუნა. იქ იგრძნობა, რომ ხალხი გახარებული და ბედნიერია.




ერთ ნეაპოლელ პროგრამისტს, კვარას დიდ გულშემატკივარს, ხვიჩას დედ-მამის ხელმოწერა გავუგზავნე.მან კი სანაძლეო დადო – სკუდეტოს თუ მოიგებენ, ჩამოვალ საქართველოში და ქართული მიწა უნდა შევჭამოო. ეს ადამიანი სახელად – რაფაელე გვიდო აპირებს ამის შესრულებას. მე ვუთხარი, 20 პროცენტი ისედაც დაპყრობილი და ოკუპირებულია და რაც მიწა დაგვრჩა, ნუ შეგვიჭამ-მეთქი. აქ რომ ახლა მიწის ჭამა დაიწყონ იტალიელებმა, არ გამოვა ეგ ამბავი. „ნაპოლის" დიდი ფანკლუბი ჰყავს, იუთუბზეც აქტიურები არიან და ეს იუთუბერები ფეხით აპირებენ იტალიიდან საქართველოში ჩამოსვლას. აი, ასეთი ამბები დაატრიალა კვარამ... გიორგი კეკელიძემ წიგნი ერთი ამოსუნთქვით დაწერა, დარწმუნებული ვართ, ის წიგნის მაღაზიის თაროებიდანაც თვალის დახამხამებაში გაქრება.

## ქართული ფილმი კანის ფესტივალზე

**თამთა მელაშვილის 2020 წელს გამოცემული, ბესთსელერის მიხედვით გადაღებულ ფილმს „შაშვი, შაშვი მაყვალი" კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე წარმატება ხვდა წილად.**



მსოფლიო პრემიერა რამდენიმე დღის წინ შედგა. ელენე ნავერიანის ფილმი, ნაჩვენები იყო დამოუკიდებელ სექციაში – Quinzaine des Cineastes.

პრემიერას კანში ფილმის შემოქმედებითი გუნდი სრული შემადგენლობით დაესწრო. ფაქტობრივად სეანსის დაწყებისთანავე ცხადი გახდა, რომ ეკრანიზაცია წარმატებით დასრულდებოდა; მაყურებელი, რომელიც ფილმის მსვლელობისას, დროდადრო ხმამაღლა იცინოდა, ტაშით და ოვაციებით შეხვდა ფილმის ფინალური ტიტრების გამოჩენას.

**„პატარა ტრადიციულ ქართულ სოფელში მცხოვრები და საყოფაცხოვრებო ნივთების მაღაზიის მესაკუთრე ეთერო 48 წლის დაუქორწინებელი ქალია. მას ერთნაირად უყვარს საკუთარი თავისუფლება და ნამცხვრები. ის ქორების გარეშე მშვიდი და კომფორტული სიბერისთვის ემზადება, თუმცა დისტრიბუტორ კაცთან ცეცხლოვანმა სასიყვარულო ურთიერთობამ შესაძლოა მისი გეგმები გაანადგუროს".** – წერია ფილმის ანოტაციაში.

მთავარ როლებს თემიკო ჭიჭინაძე და ეკა ჩავლეიშვილი ასრულებენ. ფილმის ქართული პრემიერა შემოდგომისთვისაა დაგეგმილი.



## ნაცვლიშვილთა ლამაზმანის იტალიური ქორწილი

**ულამაზესი ქართველი მოდელი თაკო ნაცვლიშვილი დაქორწინდა. მისი რჩეული ოთო ხუროძეა. წყვილმა ქორწილი იტალიაში, ქალაქ ლაციოში გადაიხადა. პატარძლის თეთრ კაბას შთამბეჭდავი შლეიფი ამშვენებდა.**

ახალდაქორწინებულებმა ჯვარი ქართულ ტაძარში დაიწერეს. ცერემონიალს მათი ოჯახის წევრები და უახლოესი ადამიანები ესწრებოდნენ.

## ქართველი დიზაინერის ამერიკული წარმატება

**ქართველი დიზაინერის, ზალიკო ბერგერის ახალი, გამორჩეული კოლექციის ჩვენება, ნიუ-იორკში მანჰეტენზე 27 მაისს, კომპლექს „სკინოში" შედგა.**

ეს ბერგერის პირველი ამერიკული წარმატება არ გახლავთ თუმცა, ახალი კოლექცია თავისი კონცეფციით გამორჩეულია. უნიკალური ნამუშევრები ნატურალური და ძვირფასი ქვებით, დიზაინერ დიმიტრი მანუელთან თანამშრომლობით შეიქმნა. ნამუშევრებში ასევე გამოყენებულია ხელოვნური ყვავილები.

**„ჩემი ბავშვობის მეგობართან, ცნობილ დიზაინერ დიმიტრი მანუელთან კოლაბორაციით შეიქმნა ეს კოლექცია",** – ამბობს ზალიკო ბერგერი. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, როგორც დიზაინერი აღნიშნავს, ტანსაცმლის ახალი ხაზის გამოშვებას გეგმავს. ახალი კოლექციის ჩვენებას კი თბილისშიც სულ მალე აპირებს.




მოამზადა
**რუსუდან ქობულიამ**

## სუპერმარკეტის ღვინომ პრესტიჟული კონკურსი მოიგო

**ბელგიაში ღვინომ, რომელიც სუპერმარკეტში 2,5 ევროდ იყიდება, პრესტიჟული კონკურსი Gilbert et Gaillard -ი მოიგო.**

არსებული ინფორმაციით, საქმე ცნობილი სომელიეს, ერიკ ბოშმანის ექსპერიმენტს ეხება, რომელმაც 1988 წელს ქვეყნის საუკეთესო სომელიეს ტიტული მოიპოვა. მან მაღაზიაში ყველაზე იაფფასიანი ღვინო იყიდა და კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადი შეიტანა, რომლის საფასურიც 50 ევრო იყო.

სომელიემ ბოთლზე ეტიკეტი შეცვალა და ღვინოს ელიტარული სახელწოდება – Chųteau Colombier შეურჩია. ბოშმანის გუნდმა ღვინის შექმნის დამაჯერებელი ისტორიაც მოიგონა. ამასთან, ბოშმანმა კონკურსზე სხვა, უფრო ხარისხიანი ღვინის ლაბორატორიული მონაცემები გაგზავნა, თუმცა ჟიურიმ ისინი არ შეამოწმა. შედეგად, იაფფასიანმა სასმელმა პირველი ადგილი მიიღო და მსაჯებისგან – პროფესიონალი სომელიეებისგან კარგი შეფასებები დაიმსახურა – მათ აქცენტი ღვინის „მდიდარ გემოზე" გააკეთეს.

## ტელეფონის საპოვნელად... წყალსაცავი დააშრო



**ინდოეთში საკვების ინსპექტორს 1200 დოლარის ღირებულების Samsung-ის მობილური ტელეფონი ჩატისგარჰის შტატში მდებარე ხერხატას წყალსაცავში სელფის გადაღებისას ჩაუვარდა.**

მილიონობით ლიტრი წყლის ამოსატუმბად რაჯეშ ვიშვასს 3 დღე დასჭირდა, რის შემდეგაც მან თავისი ტელეფონი იპოვა. თავდაპირველად ტელეფონს მყვინთავები ეძებდნენ, თუმცა შემდეგ ვიშვასმა ადგილზე ამოსატუმბი მანქანა მოიყვანა და წყალსაცავიდან დაახლოებით 2 მილიონი ლიტრი წყალი ამოტუმბა.

ვიშვასი აცხადებს, რომ ტელეფონზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინახებოდა და მისი ამოღება აუცილებელი იყო, თუმცა ის სამსახურიდან უკვე გაათავისუფლეს და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში დაადანაშაულეს. აღსანიშნავია, რომ წყლიდან ამოღებული მობილური ტელეფონი შეკეთებას აღარ ექვემდებარება.

## აღმოჩენილია 5 ათასამდე აქამდე უცნობი წყლის არსება

**მეცნიერებმა წყნარი ოკეანის ერთ-ერთი რაიონის, სახელწოდებით კარიტონ-კლიპერტონის შესწავლისას, დაახლოებით 5000 სახეობის აქამდე უცნობი წყლის არსება აღმოაჩინეს.**

ამ უცნაურ არსებებს შორის არიან ჭიები, მარჯნები და ჰოლოთურიები(ანუ ზღვის კიტრი).

მეცნიერებმა წყნარი ოკეანის ფსკერზე აპარატი ჩაუშვეს, რომელიც დისტანციურად იმართება. სწორედ ამის შედეგად აღმოაჩინეს მათ ეს ახალი სახეობები.



# „ოთარ ოთარიჩის საღამოები“ და მთავარი გმირის იუბილე

„ვასილ გიორგევიჩი ძირძველი თბილისელი, ოქროსუბნელი გახლდათ. იმ ლამაზ და მყუდრო ქუჩას, რომელსაც მაშინდელი თბილისელები, ანუ ტიფლისელები, „ნიკოლაევსკაიას“ სახელით მოიხსენიებდნენ, რამდენადაც პატივს მიაგებდნენ ამ ზედმიწევნით განსწავლულ, პროფესიონალ პროვიზორსა და გინდაც – გადამეტებულად დარდიმანდ სიმპათიურ კაცს, იმდენად მისი რიდიც ჰქონდათ და ზედმეტად თვალში არ ეჩხირებოდნენ. ამის მიზეზი ბატონი ვასილის ხასიათი იყო – გულისამორჩევითი კაცი გახლდათ ერთ დროს იმერეთიდან დედაქალაქში გადმოსახლებული წინაპრების ვაჟი. კაცს ამოირჩევდა და თან გადაჰყვებოდაო ამბობდნენ, ქალი შეუყვარდებოდა და ჭკუას კარგავდაო, საქმეს ხელს მოჰკიდებდა და ბოლომდე მიჰყავდაო, ქეიფი და დროსტარება მისი მოგონილი იყო, მკლავიც და გულიც ერჩოდა და თავს არავის დააჩაგვრინებდაო. ვასილ ტურაბელიძე, მაშინდელ ჩერქეზოვზე კარგა მოზრდილი და მტკვრის გაღმა ყველასათვის რჩეული აფთიაქის, მთავარი პროვიზორი გახლდათ. მის სახელსა და საქმეს მტკვრის გადმოღმაც აფასებდნენ და მისი ეიმედებოდათ. ბევრისათვის დაუამებია ტკივილი, ბევრისთვის ჯანი დაუბრუნებია, სიცოცხლის ხალისი ჩაუნერგავს, იმქვეყნად წასვლაგამზადებულიც მოუამქვეყნებია.

ნაგვიანებზე ნარჩევცხენებშებმული ფაეტონის ზანზალაკების, ფილაქნებზე აკვესებული ნალებისა და კოფოზე, მეფაიტონესთან შემომჯდარი მეარღნის ხმა ერთმანეთს რომ საამურად შეერწყმოდა, გერმანელთა დასახლების მხრიდან ყველამ იცოდა, რომ ვასილ გიორგევიჩი ბრუნდებოდა შინ თავის გულისამორჩევით დოსტებთან ერთად. საუკუნოვანი სახლის, მრავალხეხილდაჩრდილული მყუდრო ეზოს ჭიშკართან ულამაზესი მეუღლე, მანგლისის გრენადერთა პოლკის მკაცრი პოლკოვნიკის ტიმოფეი ვორობიოვის ქალიშვილი ნინა ვორობიოვა ელოდა მეუღლეს, შორიდან მონაბერ სიოს მოყოლილი ფაეტონის ხმის გაგონებისთანავე რომ გაეწყო სუფრა – მეუღლის სიყვარულით, ერთ დროს ამ გარუსებული უკრაინელების შთამომავალს, ისე შეესისხლხორცებინა ქართული ადათ-წესები და მკაცრი მეუღლის ხასიათი, რომ გაფრთხილებაც არ სჭირდებოდა, როგორ უნდა დახვედროდა რჩეულ თბილისელებს. ვასილ გიორგევიჩი კი, იმერული ზრდილობით მაინც შეახსენებდა ჭიშკართან მომლოდინეს – „აბა ნინოჩკა, ღვინო, პური და ბანტიანი გიტარა“... და იწყებოდა თავდავიწყება“ (ნაწყვეტი მოთხრობიდან „ოთარ ოთარიჩის საღამოები“).

*   *   *

სწორედ ოქროსუბანში დაიბადა და დღევანდლამდე აქ ცხოვრობს ვასილ ტურაბელიძის შვილიშვილი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, სერგეი მესხისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი, საქართველოს კულტურის ამაგდარი, ყველასთვის საყვარელი ადამიანი, თბილისის კოლორიტი ოთარ ტურაბელიძე-უმცროსი, ანუ ჩვენი ოთარ ოთარიჩი. მთელი ცხოვრება უფრთხილდება თავისი წინაპრების სახელსა და ტრადიციას. არც არაფერი მოჰკლებია ახლანდელ ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე იმ საუკუნოვან სახლსა და დაბურულ ეზოს, როგორც მისი ამქვეყნად მოვლინების დროს დახვდა და, გულახდილად რომ ვთქვათ, არც არაფერი დამატებია წლებისა და გაასმაგებული სიყვარულის მეტი. ოქროსუბნელი ბიჭის ხასიათში გრენადერთა შეუპოვარი გენის, ექიმთა უზუსტესი პროფესიონალიზმისა და კაცთმოყვარეობის ნაზავმა იმძლავრა, მამასავით ოთარ ტურაბელიძე-უფროსივით სამხედრო ექიმი ვერ გამოვიდა, ვერც პაპის მოსახელე ძმას ვასილ ტურაბელიძეს აუწყო ფეხი სამედიცინო საქმიანობაში, მაგრამ რასაც პროფესიონალიზმი, ენციკლოპედიური ცოდნა, პროფესიის სიყვარული და ერთგულება ჰქვია, ყველაფერი ზედმიწევნით კი არა, გადამეტებულადაც შეისისხლხორცა.

**„ჯაბა იოსელიანისგან მსმენია, რომელიც დედაჩემის მერი აბრამიას თანაკლასელი და მამაჩემის ოთარ ვასილიჩის მეგობარი იყო – არავითარი საოქრომჭედლოები და ზიზილპიპილების დამამზადებელი „ცეხები“ აქ არ ყოფილაო. იყო კაცი, რომელიც კანონთან ცოტა კი არა, ზედმეტადაც მწყრალად ბრძანდებოდა, მთელი ცხოვრება ციხეებსა და გადასახლებებში გაატარა. მიუხედავად ამისა, ხალხში სამართლიანი, პრინციპული და გამტანი კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი და მეტსახელად „ოქროს“ ეძახდნენო. ვინ გაბედავდა ოქროს უბანში ბინის გატეხასა და უბნელების გაძარცვას, „ოქროს“ ხათრითა და რიდით ზედმეტად ვერავინ შემობედავდა უბანში და ხალხიც მშვიდად იყო, ამიტომაც უბანს „ოქროს“ უბანი დაარქვესო. ამ საკითხებში ჯაბას უფრო დაეჯერებოდა, ვიდრე სხვა ლეგენდებსა და თქმულებებს, რომელიც ჩვენი უბნის დასახელების შერჩევაზე იქმნებოდა“ (ნაწყვეტი მოთხრობიდან „ოთარ ოთარიჩის საღამოები“).**

მკაცრი, შვილებზე გადაყოლილი დედა – მერი აბრამია, ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის პოლიო აბრამიას ქალიშვილი, უბანში „დეკაბრისტად“ იყო ცნობილი – სადაც კი ოთარ ვასილიჩს მოუწია სამხედრო სამსახური, ყველგან თან დაჰყვებოდა. წლები უცხოვრიათ ყოფილი საბჭოეთის უკიდეგანო ტერიტორიებზე. თავად ოთარ-უმცროსს ბავშვობის წლები შორეულ აღმოსავლეთშიც კი აქვს გატარებული. სკოლა კი თბილისში დაამთავრა, შემდეგ დედაუნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტი აირჩია. მთელი საქართველო ფეხით აქვს მოვლილი გეოლოგიური ექსპედიციებით, ოქროსუბნის სახლის ყოველი კუთხესავით იცის, რა სიმდიდრეს ინახავს საქართველოს მიწისქვეშეთი მთასა და ბარში, ყინვასა და ზაფხულის ხვატში, იძენდა პროფესიულ ჩვევებს, არც შეუმჩნეველი დარჩენილა და ერთ დროს მოუსვენარი, ურჩი და თავზეხელაღებული ახალგაზრდა თავად გახდა ახალგაზრდა სპეციალისტების ჭკუის დამრიგებელი და გვერდით მდგომი.



არც ოჯახის წევრებისთვის და არც უახლოესი მეგობრებისთვის მოულოდნელი არ ყოფილა ოთარ ტურაბელიძის გადაწყვეტილება – შეეცვალა პროფესია და არანაკლებ რთული, მაგრამ ერთ-ერთი უძველესი პროფესიის მსახური გამხდარიყო.

**„ოთხმოცდაათიანის დასაწყისში, როგორც მანამდე, თითქმის ყველა გაზეთი, ადგილობრივი თუ საკავშირო მნიშვნელობისა, ერთად იბეჭდებოდა ხოშარაულის ქუჩაზე. რა თქმა უნდა, ყველა გვიან, საკმაოდ გვიან, რადგან ბოლო ინფორმაციები დღის მოვლენებისა აუცილებლად უნდა მოხვედრილიყო პრესის ფურცლებზე. ახლა სხვა დრო იყო, სამოქალაქო – ძმათამკვლელი ომი მძვინვარებდა, დედაქალაქსა და მთელ საქართველოში განუკითხაობა იყო და ძალზე საშიში... ათობით უკანონო თუ კანონიერი კბილებამდე შეიარაღებული ფორმირებები, მათ ზურგს ამოფარებული კრიმინალები. შებინდებულზე კი არა, დღისითაც საშიში იყო ქალაქში გასვლა. თბილისის მთავარ მაგისტრალზე ხომ შეიარაღებული დაპირისპირება პიკს აღწევდა. სწორედ ამ დროს გვიხდებოდა რუსთაველის პროსპექტიდან, გამომცემლობა „სამშობლოდან“, დიდუბეში, სანაპიროზე სტამბაში სიარული და, როგორც აღვნიშნე, შუაღამისას. ერთხელაც გაზეთი ჩავაბარე სტამბის ხელმძღვანელობას, სასიგნალო ეგზემპლარის დაბეჭდვასაც დავესწარი და საღდაც სამსაათზე ფეხით გავუყევი გზას ნაძალადევისკენ. საოცრად ცივი ღამე იყო. მანქანები კანტიკუნტად დადიოდნენ და მათი უმეტესობა შეიარაღებული ხალხით იყო სავსე. სანამ წერეთლის გამზირზე გავედი, რამდენიმე ავტომატის კაკანი შემომესმა, პირველად მტკვარგაღმიდან, მეორედ სულ ახლოს, რამდენიმე მეტრში. ჩემს წინ მამაკაცი დავლანდე, პალტოს საყელოაწეული, წელში ოდნავ მოხრილი, ალბათ, სიცივისგან. ნაბიჯები შეაჩერა. წამოვეწიე, ასანთი ვთხოვე, სანთებელაში გაზი გამთავებოდა და...“ (ნაწყვეტი მოთხრობიდან „ოთარ ოთარიჩის საღამოები“).**

ასე გავიცანი ოთარ ოთარის ძე ტურაბელიძე. იმავე ღამეს დავმეგობრდით (იქვე ეზოში მიყუჟულ ხუხულაში, საიდანაც სანთლის შუქი გამოდიოდა, ასაკოვან ქალბატონს „მინიმარკეტი“ ჰქონდა მოწყობილი. გულიანი დეიდა იყო, მფარველიც ისეთივე ეყოლებოდა, რომ ასეთ დროს უშიშრად ვაჭრობდა. თხლად დაჭრილი ძეხვი, პური და არაყი). უამრავი საერთო ნაცნობებიც გამოგვიჩნდა მტკვრისგაღმელებს – „ოქროსუბნელსა“ და „ნახალოვკელს“.

იმ დროს ოთარ ტურაბელიძე „დროში“ მუშაობდა, მე – „რესპუბლიკაში“, შემდეგ ორივეს „შანსში“ მოგვიწია მუშაობა და პარალელურად რამდენიმე გაზეთშიც ერთად ვთანამშრომლობდით, შემდეგ ოთარი „საქინფორმში“ დაწინაურდა. კარგ მოქართულესა და რუსული ენის ზედმიწევნით მცოდნეს უამრავ რესპონდენტთან, სამთავრობო დელეგაციების წევრებთან უხდებოდა ურთიერთობა. მეტად საინტერესო წერილებს აქვეყნებდა მეცნიერების მიღწევებზე, ეკონომიკაზე, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების ნაწარმოებები ხომ მისი გატაცება იყო და არის დღესაც. ყველას გვაკვირვებს თავისი ენციკლოპედიური ნიჭითა და განათლებით. ბოლო ოცი წელია, „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვეწევით ჟურნალისტურ საქმიანობას.

ოთარ ტურაბელიძე ხომ სამეგობროში გამორჩეული პიროვნებაა. ქალაქის კოლორიტს, ძირძველ თბილისელს უამრავი საძმო ჰყავს „ტიფლისის“ ყველა უბანში, მტკვრის გაღმა-გამოღმა, მთელ საქართველოში, ეს კი ვასო ტურაბელიძის „გულისამორჩევითობის“ გამოისობითაა. გულდასაწყვეტია, რომ ამგვარ დიდებულ ადამიანს გვარის გამგრძელებელი არ ჰყავს...

**„ათობით ნათლულს ელოლიავება ოთარ ოთარიჩი, შვილებივით უფრთხილდება, ზრდის, ყურადღებას აქცევს, სხვაგვარად „ვაშინერს“ (ეს მისი უსაყვარლესი სიტყვაა, კოლხური სისხლიდან აყივლებული). ჩემი ვაჟების გაზრდა-აღზრდაშიც ხომ დიდი წვლილი მიუძღვის. „რა არის მამი, თავს მჭრი? მეორედ არ გავიგო, ვაშინერს ეგეთი საქმე. მგონი, დამეჯერება რამე ჯერ კიდევ, მეორეჯერ არ ქნა ეგრე, მამი!“ – ძმაკაცის შვილს არიგებდა ჭკუას. არ გამკვირვებია, მით უმეტეს ხუთი თითივით ვიცი, რა ახალგაზრდობაც აქვს გატარებული, მუდამ ფორიაქასა და ხათაბალააკიდებულს. ქალბატონი მერი მუდამ თავაღერებული დადიოდა ქუჩაში, სიამაყის გამო კი არა, ოთარს ეძებდა, რომელი ხიდან ჩამოეყვანა. რომ წამოიზარდა, განაწყენებული დედის პროტესტის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა იყო, გვარით მიემართა – „ცუდად იქცევი, ტურაბელიძე!“ ეს იყო ყველაზე გასაკიცხი „დანაშაულში მხილებული“ ოთარისთვის. ამგვარ ბავშვობაგამოვლილს, მართლაც ბევრი დარიგება შეეძლო ახალგაზრდებისთვის და ასეცაა, ყველა პატარას ხომ შვილად თვლის...“** ***(ნაწყვეტი მოთხრობიდან „ოთარ ოთარიჩის საღამოები“).***

**75 წლისა შესრულებულა ჩვენი ძმა, ჩვენი ოთარ ტურაბელიძე-უმცროსი. ჩიტივით გაფრენილა 75 წელი. ამ ასაკში მოგონებებსა და მემუარებს წერენ, მას კი არავისზე ნაკლებად არ უჭრის კალამი, მაგრამ... გადავწყვიტე, ჩემი მეგობრის მონაყოლი ისტორიები ერთ ვრცელ მოთხრობად „ოთარ ოთარიჩის საღამოები“ დამეწერა და ამაზე კარგ საჩუქარს რას გავუკეთებდი საიუბილეოდ. აქვე ამონარიდების სახითაც გთავაზობთ ამ მოკრძალებულ, საიუბილეო ადრეს-ჩანახატში.**

**იხარე და იბედნიერე, ჩვენო უღალატო ძმაო!**

შენი

**მამუკა ვაშაკიძე**



## გულთაზ ლაბარტყავა – 85

# ვალმოხდილი მამულიშვილი

*როგორ ბევრია შვილი ადამის,*
*როგორ ცოტაა ადამიანი!*

**გალაკტიონ ტაბიძე**

სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს დამსახურებულ ეკონომისტს, საფინანსო და საბანკო, სამრეწველო, სამშენებლო და საინვესტიციო დარგის აღიარებულ მუშაკს და დიდ მოამაგეს,რომელსაც თავისი მოკრძალებული წვლილი მიუძღვის საქართველოს აღმშენებლობასა და ეკონომიკის აღორძინებაში, ქ. ფოთის საპატიო მოქალაქეს, ღირსეულ კოლხს და უნივერსიტეტელს,ღვაწლმოსილ პროფესორს, ბრწყინვალე ლექტორსა და ორატორს, სტუდენტი-ახალგაზრდობის მრავალი თაობის აღმზრდელს, ცნობილ შემოქმედს და ქველმოქმედს, დახვეწილ ინტელიგენტს, მეგობრობის ბაირახტარს, ჭეშმარიტად ეროვნულ კაცს, დიდებულ თამადას, ქართული ტრადიციების ერთგულ გუშაგსა და ტრადიციული ოჯახის თავკაცს, ფიზიკურად და სულიერად სრულქმნილ, ღვთივკურთხეულ პიროვნებას, მგრძნობიარე გულის, ნათელი გონებისა და ცოცხალი სიტყვის პატრონ პოეტს – საკუთარი ხმითა და მსოფლმხედველობით, უკეთილშობილეს ადამიანს, ვისთვისაც ყველაზე დიდი თანამდებობა ადამიანობა და ადამიანის სიყვარულია, სამშობლოს ერთგულ ჯარისკაცს, **გულთაზ ევგენის ძე ლაბარტყავას** გულითადად ვულოცავთ 85 წლის იუბილეს და დიდი მადლიერების გრძნობით ვუსურვებთ ჯანმრთელ და ბედნიერ, ხანგრძლივ სიცოცხლეს თავისი ძვირფასი ოჯახისა და მშობლიური ქვეყნის საკეთილდღეოდ!

**უახლოესი მეგობრების სახელით**

**რევაზ გოგოხია,**

**პროფესორი,**

**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი**

# ინტერვიუ სროლების აკომპანიმენტით

**Fox News-ის პირდაპირ ეთერში სროლის ხმა გაისმა, როცა მემფისის ქალაქის საბჭოს წევრობის კანდიდატი იოლანდა კუპერი სატელევიზიო ინტერვიუს აძლევდა.** რესპონდენტი გახშირებულ კრიმინალურ შემთხვევებზე საუბრობდა, რა დროსაც მასთან ახლოს მანქანა გაჩერდა და კანდიდატი სროლის ეპიცენტრში აღმოჩნდა.

**„ტელევიზიიდან დამირეკეს და მთხოვეს ინტერვიუ ქალაქში გახშირებული სროლების და მომატებული კრიმინალის თაობაზე, რაზეც დავთანხმდი. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ პირდაპირი ეთერის დროს სროლის ფაქტს შევესწრებოდით. სამწუხაროა რომ მემფისში გახშირდა მსგავსი კრიმინალური შემთხვევები. მოიმატა იარაღით ძალადობისა და გატაცების ფაქტებმა“,** – აღნიშნა იოლანდა კუპერმა.

ლეგიონერები

# ფინიშის ხიბლი




**რამდენიმე დღეც და 2 ივნისს დასრულდება საფრანგეთის მარათონული მეორე დივიზიონის სეზონი, რომელმაც შეიძლება, საუკეთესო შემთხვევაში, ორივე ქართველი ლეგიონერის კლუბი დააწინაუროს ელიტაში, თუმცა, ერთ-ერთი რომ აუცილებლად მიაღწევს მიზანს, უკვე გადაწყვეტილია.**

ვითარება უკიდურესობამდე დაიძაბა მას შემდეგ, რაც გათამაშების ჯერაც ერთპიროვნულმა ლიდერმა ლე ჰავრმა, სადაც ოდესღაც **გია გურული** ბრწყინავდა, სტუმრად ბასტიასთან ქულა 88-ე წუთზე გადაარჩინა – 1:1, რაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ აქამდე კომფორტული უპირატესობა გაეფლანგა და კონკურენტებისთვის დაწევის ან სულაც გადასწრების შანსი გაეჩინა, ხოლო **ზურიკო დავითაშვილის** ბორდომ, დიდი ალბათობით, საბედისწერო მარცხი ანესში განიცადა – 0:1.

ბოძებული უფლის საჩუქარი შესანიშნავად შეირგო 23 გოლით ლიგის ბომბარდირ **გიორგი მიქაუტაძის** მეცმა და ასეთივე ანგარიშით ასევე მეტოქის მოედანზე სიშოს სძლია – 1:0.

შედეგად, პირველი დივიზიონის 2 საგზურისთვის მებრძოლი ტრიო სატურნირო ცხრილში ასეა განლაგებული: ლე ჰავრი – 72 (ბოლო ტურში მასპინძლობს დიჟონს და საბოლოო წარმატებისთვის ფრეც ჰყოფნის), მეცი, ბორდო – 69-69 ქულა (ისინიც შინ თამაშობენ, შესაბამისად, ზემოთ უკვე ნახსენებ კორსიკელებთან და როდეზთან). ცნობისთვის: მეცს ოპონენტებთან შედარებით უკეთესი ბურთების შეფარდება აქვს, დიჟონი და როდეზი კი მეორე დივიზიონში დასარჩენად იბრძვიან).

ნამდვილი დრამა დატრიალდა ბუნდესლიგის ფინიშზე, სადაც ბაიერნმა ზედიზედ მეთერთმეტე ტიტული კოლნში სანეს მიერ ბოლო წუთზე გატანილი ოქროს გოლით შეინარჩუნა – 2:1. რეკორდმაისტერის მარადიულმა მეტოქემ დორტმუნდმა ქომაგებს საჩემპიონო ზეიმი შინ მაინცთან დამღუპველი ფრით ჩაუშალა – 2:2 და კონკურენტს ბურთების სხვაობით ჩამორჩა (ორივემ 71-71 ქულა მოაგროვა). ისიც სათქმელია, რომ მასპინძლებმა 0:2-ზე პირველ ტაიმში პენალტი ვერ გამოიყენეს.

სხვათა შორის, ელიტიდან ლევან კობიაშვილის კლუბები – შალკე და ჰერტა დაქვეითდნენ.

გამოიცა

# იმედო ფხაკაძე – ხელბურთის გარინჩა




**ამას წინათ გულით გავიხარეთ, როცა ტიტე კალანდაძის გაწვრთნილმა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში პირველად მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის (2024 წლის იანვარი, გერმანია) ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ისტორიის საზომით არცთუ შორეულ წარსულში – 60 წლის წინათ არც ტიტულები გვაკლდა და არც საერთაშორისო აღიარება.**

საუბარია **გიორგი შარაშიძის** მიერ შექმნილ ვარსკვლავურ თბილისის ბურევესტნიკზე, რომელშიც ღირსეულ პარტნიორთა შორისაც კი ბრწყინავდნენ ხელბურთის პელე და გარინჩა – შესაბამისად, **ჯემალ ცერცვაძე** და **იმედო ფხაკაძე**. სწორედ ამ უკანასკნელს – საზოგადოების მშვენებასა და ნატიფ პიროვნებას მიუძღვნა თავისი 83-ე(!) სამაგიდო წიგნი ქართული სპორტის მემატიანემ **დემიკო ლოლაძემ,** რომელსაც მორიგი ჩანაფიქრის განხორციელებაში, ტრადიციისამებრ, ჩვეული თანადგომა და მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა, ხოლო დიზაინი, როგორც ყოველთვის, **კახა ბახტაძეს** ეკუთვნის.

## სადარბაზო ბარათი

**იმედო ფხაკაძე (1942-2021). თამაშობდა თბილისის ბურევესტნიკსა (1961-73) და სსრკ ნაკრებში (1963-71). ქვეყნის ორგზის ჩემპიონი, სამგზის ვიცე-ჩემპიონი და მესამე პრიზიორი. მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის მონაწილე და მსოფლიო სტუდენტური თამაშების ჩემპიონი. სპორტის ოსტატი, სპორტის საპატიო ოსტატი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სპორტის რაინდი, ღირსების ორდენის კავალერი. კარიერის დასრულების შემდეგ ავარჯიშებდა მშობლიურ ბურევესტნიკს, იორდანიისა და მალის ნაკრებებს, ხოლო საქართველოს ეროვნული გუნდი ჩელენჯ ტროფის გამარჯვებამდე მიიყვანა. იყო დამსახურებული მწვრთნელი, სახელმწიფო მწვრთნელი, სპორტული სკოლის დირექტორი და ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.**

**გულშემატკივარს საკმაოდ სქელტანიანი კრებულის ფურცლებზე მრავალი საინტერესო ფაქტი ელოდება: თავიდან ვირტუოზი გარემარბი თურმე ჭიდაობაზე დადიოდა, დედაქალაქის ახალი სპორტის სასახლე ბურევესტნიკის ორი მოგებით გახსნილა უნგრეთის ნაკრებთან, ხელბურთის სამშობლო დანია ყოფილა და ა. შ. მოკლედ, შეიძინეთ და დატკბით!**



**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ კოლეგასა და მეგობარს ჯემალ ჭიპაშვილს ძმის**

**ნოდარ ჭიპაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

# ორიოდე სიტყვით

### ბატუტზე ხტომა

თბილისი. პირველი საერთაშორისო ტურნირი ოქროს ნახტომი 6 ქვეყნის 70 სპორტსმენის მონაწილეობით. საქართველო – 8 მედალი. **ოქრო** – ლუბა გოლოვინა (უფროსები, ინდივიდუალური), ნინო ქორიძე და ცოტნე ჩხაიძე (სპორტის ოსტატობის კანდიდატის პროგრამით), მოსე კოხია (პირველი თანრიგი). **ვერცხლი** – მარიამ რაგიმოვა (უფროსები, ინდივიდუალური), ლუკა ლომთათიძე (სპორტის ოსტატის კანდიდატის პროგრამით), მარიამ გაბრიაძე (პირველი თანრიგი). **ბრინჯაო** – ლუბა გოლოვინა, თეონა ჯანჯღავა (უფროსები, სინქრონული).

### ძიუდო

**ბიელსკო** – ბიალა (პოლონეთი). ჭაბუკთა ევროპის თასი. საქართველო – 7 მედალი. **ოქრო** – ნიკოლოზ ზაალიშვილი (90). **ვერცხლი** – მათე გველესიანი (66), ცოტნე ბახტაძე (73). **ბრინჯაო** – გიორგი გივიშვილი (66), თორნიკე ვახტანგაძე (73), გიორგი ბენდელიანი, რომან პაპიაშვილი (ორივე – 81).

### კალათბურთი

ფიბა-ევროპას ესპანელი **ხორხე გარბახოსას** სახით ახალი თავკაცი ჰყავს, რომელმაც პრეზიდენტის პოსტზე 2-ვადიანი ყოფილი თურქი ხელმძღვანელი თურღაი დემირელი შეცვალა. ფიბა-ევროპის საარჩევნო ასამბლეას მიუნხენმა უმასპინძლა, პირენეელს კი კონკურენციას ფრანგი ჟან-პიერ სიუტა უწევდა. საბოლოოდ გამარჯვებულს ხმა 35-მა ეროვნულმა ფედერაციამ მისცა 50-დან.

დავძენთ, რომ გარბახოსას სკფ-ს ლიდერის ვიქტორ სანიკიძის წინააღმდეგ არაერთხელ უთამაშია, ხოლო შარშან სამშობლოს დელეგაციის წევრი იყო თბილისურ ევრობასკეტზე.

ამასობაში დაზუსტდა, რომ **ილიას ზუროსის** გაწვრთნილი ჯვაროსნები სადებიუტო აზიური მუნდიალის წინ პირველ სპარინგს 1 აგვისტოს კაუნასში კაზის მასკვიტისის ნავარჯიშევ ლიეტუვასთან გამართავენ, 5 აგ-



ვისტოს ლატვიასთან ვითამაშებთ, შემდეგ თბილისში ოთხთა ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას, სადაც სავარაუდო მეტოქეებად მონტენეგროს, ირანისა და იორდანიის გუნდები გვეყოლება, ხოლო იაპონიაში უშუალოდ ფორუმზე ჩასვლისთანავე ავსტრალიის ნაკრებს შევხვდებით.

სიმბოლურია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს ჯვაროსანთა ვეტერანი ცენტრი **გიორგი შერმადინი** 2021 წლის შემდეგ მეორედ მიიჩნიეს ესპანური ლიგა ენდესას სეზონის საუკეთესო მოთამაშის გამოსავლენად მოწყობილი გაჭიანურებული გამოკითხვის გამარჯვებულად. შეგახსენებთ, რომ მანამდე ტენერიფეს ქართველი ლეგიონერი რეგულარული გათამაშების თვის MVP სამჯერ, სულ კარიერაში კი მე-11(!) გახდა. სამწუხაროა, რომ შეგირდის მორიგ აღიარებას ვეღარ მოესწრო კუნძულელთა ლიდერის აღმზრდელი მამობილი **ჯამლეტ ხუხაშვილი.**

### რაგბი

სადებიუტო მსოფლიოს თასისთვის უკეთ მოსამზადებლად **ნიკა ამაშუკელი** ოთხ ტესტ-მატჩს განსჯის: 29 ივლისს იოჰანესბურგში ოთხი ერის ფინიშზე ინგლისელი ენდრიუ ბრაისის ასისტენტის ამპლუაში სამხრეთ აფრიკა-არგენტინას, ხოლო დანარჩენ სამ გასახურებელ თამაშს მოედნის რეფერის სტატუსით: 5 აგვისტოს ბუენოს აირესში არგენტინა-სამხრეთ აფრიკას, 12 აგვისტოს ლონდონის თვიქნემზე ინგლის-უელსის დიდ სამამულო ომს და 19 აგვისტოს ნანტში საფრანგეთ-ფიჯის.

ასევე სამი ტესტ-მატჩით შეავსებენ ზაფხულის ფანჯარას მომავალი მუნდიალის წინ ბორჯღალოსნები: 12 აგვისტოს თბილისში რუმინეთთან (მთავარი მსაჯი – ინგლისელი უეინ ბარნსი), 19 აგვისტოს აქვე აშშ-თან (მთავარი მსაჯი – სამხრეთაფრიკელი იაკო პეიპერი) და 26 აგვისტოს ედინბურგის მერიფილდზე შოტლანდიასთან (მთავარი მსაჯი – ფრანგი მეთიუ რეინალი).

დროს 24 ივნისიდან 14 ივლისამდე სამხრეთ აფრიკაში გასამართავ 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატამდე არც უმცროსი ბორჯღალოსნები კარგავენ უქმად. ლადო კილასონიას შეგირდებს ავჭალაზე 2 ტესტ-მატჩის ჩასატარებლად რაგბის სამშობლოს – ინგლისელი თანატოლები ეწვივნენ.

დავძენთ, რომ წლევანდელი ფორუმი კოვიდ-პანდემიით გამოწვეული 3-წლიანი პაუზის შემდეგ მოეწყობა, ფრანგული შეკრებიდან დაბრუნებულ მასპინძლებს კი ამჯერად ლეგიონერთა უმეტესობა ვერ დაეხმარება. **პირველი ტესტი**. საქართველო – ინგლისი 36:41.

### ჩოგბურთი

კაჭრეთი. ქალთა 25-ათასიანი საერთაშორისო ტურნირი. **ფინალი.** ეკატერინე გორგოძე-ანა ბროგანი (დიდი ბრიტანეთი) 6:2, 6:2. მანამდე მე-7 ნომრად განთესილმა კორტის მასპინძელმა თანმიმდევრობით დაამარცხა მარია კოზირევა (რუსეთი), ჟონი ლი (ჩინეთი), სოფიო შაფათავა და დეიანა რადანოვიჩი (სერბეთი).

## თსუ-ს სტუდენტური კაპელა საერთაშორისო ფესტივალზე გრან-პრის მფლობელი გახდა



**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური კაპელა მე-19 საერთაშორისო საგუნდო ფესტივალის Mundus Cantat 2023 გამარჯვებული და გრან-პრის (The Grand Prix) მფლობელი გახდა.**

უნივერსიტეტის სტუდენტური გუნდი ლაშა მიროტაძის ხელმძღვანელობით ფესტივალზე Mundus Cantat 2023 საქართველოს სახელით მონაწილეობდა. კონკურსის მასპინძელი ქვეყანა კი, პოლონეთი იყო. კონკურსში მონაწილეობას 11 ქვეყნის, მათ შორის, აშშ-ის, ლიეტუვის, ჩეხეთის რესპუბლიკის, ისრაელის, პოლონეთის და სხვა ქვეყნების წარმომადგენელი გუნდები იღებდა.

კონკურსის ჟიური ევროპის წამყვანი სპეციალისტებით იყო დაკომპლექტებული. საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობის მიღება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მუსიკალურ გუნდებს შეუძლიათ. ფესტივალი მოიცავს როგორც კონკურსს, ისე მონაწილეთა შეხვედრებს ამ დარგის წამყვან სპეციალისტებთან.

## ქართველი გიდები უცხოელებმა უკიდურესად შეავიწროვეს!

**საქართველოში მიგრაცია ყოველწლიურად იზრდება და პარალელურად მომრავლდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც ტურიზმის სექტორში თვითნებურად საქმდებიან და უცხოელ ტურისტებს ემსახურებიან. ქართველი გიდები ამის გამო საკუთარი თავის რეალიზებას ვეღარ ახერხებენ. ის კი არადა, ბევრი მათგანი უმუშევარიც დარჩა და პროფესიის შეცვლაც მოუწია.**

როგორც „იბერია ტურს პლუსის“ დამფუძნებელმა **მაია მურაჩაშვილმა** აღნიშნა, დღეს 10-დან 8 უცხოელი გიდია, შეიძლება ძალიან დიდი ჩრდილოვანი ეკონომიკაც გაჩნდეს.

**„მესმის, რომ კარგია, როცა ბიზნესის კეთება ერთი მხრივ მარტივია, მაგრამ ამას გარკვეული რეგულაციები უნდა ახლდეს. ძალიან მინდა, ვისაც ეხება ამ კანონის დაჩქარება, ფეხით ერთხელ გაიაროს ქუჩაში და მივიდეს ტურისტულად აქტიურ ადგილებზე – აბანოთუბანში, ავიდეს მეტეხზე.**

**შეიძლება ძალიან დიდი ჩრდილოვანი ეკონომიკაც გაჩნდეს და ბიუჯეტში არ შევიდეს შესაბამისი თანხა. ეს ადამიანები ხელზე იღებენ ფულს, რომელიც არსად აღირიცხება. გიდების სერტიფიცირება უნდა იყოს სავალდებულო. თუ უცხოელი ჩააბარებს ჩემი ქვეყნის ისტორიას ისე, როგორც მისაღები იქნება, აიღებს ლიცენზიას და შემდეგ იმუშაოს“,** – აღნიშნა მურაჩაშვილმა.

ტურისტული გიდის საკვალიფიკაციო მოთხოვნები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ტურიზმის სექტორში, რადგან ხშირად ისინი საქართველოს შესახებ არასწორ ინფორმაციას აწვდიან ტურისტებს.

სწორედ ამიტომ, ტურიზმის მარეგულირებელი პოლიტიკის რეფორმა გიდებისთვის სხვადასხვა სახის პირობის შესრულებას გულისხმობს.

როგორც „იუსაიდის“ ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მრჩეველი პოლიტიკის და სამართლის საკითხებში **ირაკლი გელოვანი** აცხადებს, დღევანდელი მდგომარეობით, გიდების შესახებ ჩანაწერი გულისმობს, რომ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მეშვეობით მოხდება იდენტიფიცირებისთვის სპეციალური ნიშნის შექმნა, ეს შეიძლება იყოს „ბეიჯი“ ან შტრიხკოდი, რომლის მოპოვებისთვისაც გიდებს სხვადასხვა პირობები ექნებათ, რაც კანონქვემდებარე აქტში გაიწერება.

**„აკრედიტაციაგავლილ ორგანიზაციებს შეეძლებათ ასევე მსგავსი ნიშნის გაცემა, თუმცა მსჯელობები გაგრძელდება. სავალდებულო მოთხოვნები ჯერ არ შემუშავებულა, ეს არის ნებაყოფლობითი და ვინც დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, გარკვეული შეღავათები ექნებათ, მუზეუმებში, დაცულ ტერიტორიებზე უფასო შესვლა და ა.შ. სამთო გიდებისთვის აკრედიტაციის მსგავსი მოდელი გვაქვს, თუმცა განსხვავდება იმით, რომ სავალდებულოა.**

**სერტიფიკატის გამოცდების ჩატარების და გაცემის შესაძლებლობა ყველა კომპანიას ვერ ექნება, ამისათვის მან აკრედიტაცია უნდა მიიღოს, რომელსაც გასცემს საქართველოს აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი, რომელსაც აქვს სპეციალური პროცედურები. შესაბამისად, სქემა მუშაობს შემდეგნაირად: აკრედიტაციის ცენტრი გასცემს ნებართვას იმ ორგანიზაციებზე, რომლებსაც სურთ, რომ თავის მხრივ გამოცდები ჩაატარონ და გასცენ სერთიფიკატები“,** – აღნიშნა გელოვანმა.

გიდების პრობლემა უკვე ძალიან გამწვავდა და როგორც საქართველოს გიდების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, **ირინა ივანიძე** აღნიშნავს, მის რეგულირებაზე მუშაობა უკვე დაწყებულია, თუმცა ხელშესახები შედეგი როდის იქნება, ეს ჯერჯერობით გაურკვეველია.

**„საკითხი ადგილობრივი გიდებისთვის პრობლემურია, რადგან დიდი რაოდენობით უცხო ქვეყნის მოქალაქე ატარებს ტურებს და არავინ აკონტროლებს, რა ინფორმაცია გადის ქვეყნიდან საზღვარგარეთ. ბევრი წარმატებული გიდი, რომლებიც წინა წლებში აქტიურად მუშაობდნენ, დღეს უკვე საქმის გარეშე ზის.**

**ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება გვავალდებულებს, რომ ტურიზმის სფერო მოვაქციოთ კანონის ფარგლებში და ამანაც შეუწყო ხელი, რომ დაიწყო პრობლემაზე მსჯელობა. დიდი იმედი გვაქვს, ეს მუშაობა შედეგს გამოიღებს“,** – განაცხადა ირინა ივანიძემ.

## პარალიზებულთა მშველელი იმპლანტები

**ელექტრონული იმპლანტების დამონტაჟების შემდეგ, პარალიზებულმა კაცმა სიარული დაიწყო. 40 წლის ნიდერლანდელი გერტ-იან ოსკამი 12 წლის წინ მომხდარი ავარიის შემდეგ ვერ დადიოდა. მან შვეიცარიელი მეცნიერების ექსპერიმენტში მიიღო მონაწილეობა, რასაც საოცარი შედეგი მოჰყვა.**



პაციენტს ორი იმპლანტი ჩაუდგეს – ერთი თავის ტვინში, მეორე კი ხერხემალზე. როდესაც ოსკამს გავლა უნდა, ის ამაზე ფიქრობს და მის ტვინში მომუშავე იმპლანტი შესაბამის სიგნალს აწვდის ხერხემალზე დამონტაჟებულ მოწყობილობას, ნერვულ უჯრედებს კი ეს სიგნალი ფეხებში გადააქვთ. შედეგად, კაცი ნაბიჯს დგამს.

**„თავს ჩვილად ვგრძნობ, რომელიც სიარულს ხელახლა სწავლობს. ეს ხანგრძლივი გზა იყო, მაგრამ ახლა შემიძლია ავდგე და ჩემს მეგობრებთან ერთად ლუდი დავლიო. ბევრი ადამიანი ვერ იაზრებს რამხელა სიამოვნებაა ეს“,** – განაცხადა ოსკამმა. სპეციალისტები ამ მიღწევას შთამბეჭდავს უწოდებენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ კვლევა ჯერ საწყის ეტაპზეა და მრავალი წელია საჭირო, სანამ ეს ტექნოლოგია პარალიზებული პაციენტებისთვის ხელმისაწვდომი გახდება.

### სულთათანა



**მეუღლე თემურ ბაბუნაშვილი, შვილები ანა, გიორგი ბაბუნაშვილები, და მაია პეტრიაშვილი, მული ნანა ბაბუნაშვილი, რძალი ნანა მეშველიშვილი, ბიცოლა ნანა ისაკაძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან**

## მარინა პეტრიაშვილი-ბაბუნაშვილის

**გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 29 მაისს 17 საათზე,
გამოსვენება: 30 მაისს 14 საათზე,
მისამართი: პეტრე ბაგრატიონის ქ. 16 (სვანეთის უბანი).**

---

**საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია ღრმა თანაგრძნობას უცხადებს აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს თეიმურაზ ბაბუნაშვილს ძვირფასი მეუღლის, მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმი-ტოქსიკოლოგის, უსათნოესი ქალბატონის და დიდი პროფესიონალის**

## მარინა პეტრიაშვილი-ბაბუნაშვილის

**გარდაცვალების გამო.**

---

**საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „მოამბის“ სარედაქციო კოლეგია თანაგრძნობას უცხადებს ჟურნალის მთავარ რედაქტორსა და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარეს, აკადემიკოს თეიმურაზ ბაბუნაშვილს და მის ოჯახს ძვირფასი მეუღლის, დარბაისელი ქალბატონის და პროფესიონალის**

## მარინა პეტრიაშვილი-ბაბუნაშვილის

**გარდაცვალების გამო.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელად თანაუგრძნობს ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს და მუდამ სასურველ ავტორს, მეცნიერსა და მოღვაწეს, უკეთილშობილეს პიროვნებას თემურ ბაბუნაშვილს ძვირფასი მეუღლის**

## მარინა პეტრიაშვილი-ბაბუნაშვილის

**გარდაცვალების გამო.**

### სანთელი

**გარდაიცვალა ცნობილი მოფარიკავე, საქართველოს ჩემპიონი და სხვა მრავალი საერთაშორისო შეჯიბრებების გამარჯვებული**

## რუსუდან კეკელია

**ვუსამძიმრებთ ოჯახს და ახლობლებს.
ვეტერანი მოფარიკავეების სახელით:**

**ზ. ცქიტიშვილი, ი. ოსიპოვი, ა. გოგელია, გ. კოსტავა, გ. ცაგარელი, გ. ანდრიაძე, ზ. მჭედლიძე, დ. სახვაძე, დ. ლორთქიფანიძე, ს. სვანიძე.**



# 105

# 2023 წლის სამი ისტორიული თარიღი:



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 105 წლისთავი (აღინიშნა 8 თებერვალს);



საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 105 წლისთავი (აღინიშნა 26 მაისს);


საქართველოს
რესპუბლიკა
ყოველდღიური გაზეთი
ასეთი არჩევანის წინაშე რომ დაგაყენონ – მთავრობა თუ გაზეთები? – უყოყმანოდ მეორეს ავირჩევდი!
თომას ჯეფერსონი
გმადლობთ, მკითხველო!
სიცოცხლისათვის

პირველი რესპუბლიკის მთავრობის ყოველდღიური მოამბის – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" პირველი ნომრის გამოსვლიდან 105 წლისთავი (აღინიშნება 25 ივლისს).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა" გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

## ძვირფასო ქველმოქმედო მკითხველო!

### ასეთი ისტორიული გაზეთი, 105 წლის „საქართველოს რესპუბლიკა" არ უნდა დაიხუროს!

რადგანაც თავისუფალი ბეჭდური მედიის, განსაკუთრებით ისტორიული გაზეთების შეჭირვებული მდგომარეობა დღევანდელ მთავრობას არ აინტერესებს, მთელი იმედები ისევ ჩვენს ერთგულ მკითხველზეა დამოკიდებული! საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საიუბილეო დღეებში კიდევ ერთხელ გთხოვთ, უფრო მონდომებით გაისარჯოთ და ყოველდღიურად იყიდოთ ან გამოიწეროთ გაზეთი, რომელსაც ჩვენი სამშობლოს სახელი ჰქვია და რომელიც თქვენ სულიერ ჟანგბადს გაწვდით.

**ხელმოწერისთვის მიმართეთ:**
შპს „ელვა-ჯი"
595 38 26 26; 2382673, 2 382674;
შპს „პლანეტა ფორტე",
579 79 99 08, 599 94 73 11;

**დახმარების მსურველებმა მოგვმართეთ რედაქციაში:**
ჭავჭავაძის პროსპექტი, №17 ე, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ოფისი.
შპს „100 — ახალი საქართველოს რესპუბლიკა"
ტელ: 599 36 00 35; 577 77 27 17.

**ჩვენი ანგარიშია:**
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 31 მაისს**

სრ

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5876; ევრო - 2.7752;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1985;
100 რუბლი - 3.2357; თურქული ლირა - 0.1279;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5221;
1000 სომხური დრამი - 6.7101

**ამინდი 29 მაისისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +13, | დღე | +31 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +8, | დღე | +28 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +13, | დღე | +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +11, | დღე | +29 |
| თბილისი: | ღამე | +17, | დღე | +29 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge